



# ანგარიში

გაწეული საქმიანობის შესახებ

2016 წელი

## შინაარსი

სამართლებრივი უზრუნველყოფა.....	1
<i>სასამართლოებში განხილული და მიმდინარე საქმეები.....</i>	<i>4</i>
საფინანსო საქმიანობა .....	5
<i>ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შესახებ .....</i>	<i>5</i>
<i>საბიუჯეტო სახსრები .....</i>	<i>6</i>
ტყის აღრიცხვა.....	14
ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებები.....	15
ტყის მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებები .....	18
ტყითსარგებლობა .....	19
ხე-ტყის დამზადების სამსახური .....	28
სახელმწიფო კონტროლის სფეროში განხორციელებული საქმიანობა.....	29
<i>მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება და მართვა.....</i>	<i>31</i>
<i>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის სრულყოფა.....</i>	<i>33</i>
პროგრამებზე, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე მუშაობა.....	34
საზოგადოებასთან ურთიერთობა და განათლება .....	34
ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება .....	52



# სამართლებრივი უზრუნველყოფა

## ნორმატიული აქტები:

1. მომზადებული და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 თებერვალს N47 დადგენილებით მიღებული იქნა „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ საქართველოს მთავრობის დადგენილება“. *(მაღალმთიან დასახლებებში ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ერთ კომლ ოჯახზე 15მ<sup>2</sup> სამეშე მერქანის განსაზღვრის საკითხზე);*
2. მომზადებული და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იქნა „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ საქართველოს მთავრობის დადგენილება *(სპეცსარგებლობა და ამორიცხვის საკითხზე);*
3. მომზადებული და სამინისტროში წარდგენილი იქნა „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი; *(აუქციონზე გამოტანილი არარეალიზებული სამეშე მერქანის რეგულირების საკითხზე);*
4. მომზადებული და სამინისტროში წარდგენილი იქნა „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი; *(გფდუ);*
5. მომზადებული და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 ივნისს N288 დადგენილებით მიღებული იქნა „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ საქართველოს მთავრობის დადგენილება“. *(მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირისათვის სააგენტოს მიერ სპეციალური ჭრით დასამზადებელი მერქნული რესურსის განკარგვის (გადაცემის) საკითხზე);*
6. მომზადებული და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იქნა "საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საქართველოს მთავრობის დადგენილება. *(მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოცულობების პარამეტრების დაზუსტება დაკონკრეტების საკითხზე);*
7. მომზადებული და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იქნა "საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საქართველოს მთავრობის დადგენილება. *საჯარო სამართლის იურიდიული პირის ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული ჭრების შედეგად მოპოვებულ ხე-ტყეზე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის საკითხზე);*



8. მომზადდა და მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N428 დადგენილება „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ *(მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მქონე მეწარმე სუბიექტისათვის ან მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირისათვის სააგენტოს მიერ სპეციალური ჭრით დასამზადებელი მერქნული რესურსის განკარგვის (გადაცემის) წესთან დაკავშირებით);*
9. მომზადდა და მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N435 დადგენილება „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ *(საკომპენსაციო საფასურის გადახდასთან დაკავშირებით);*
10. მომზადდა და მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ტყის მოვლისა და აღდგენის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს N241 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ *(მოვლითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით დაინტერესებული პირის ინტერესის გამოხატვის გზით შერჩევის შესახებ);*
11. მომზადდა და მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“
12. „ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 ივლისის №179 დადგენილებით დამტკიცებულ წესში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
13. „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებულ წესში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ *(გრძელვადიანი ტყითსარგებლობის შესახებ);*
14. „ტყის მოვლისა და აღდგენის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №241 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ *(ლიცენზიანტების მიერ განსახორციელებელი მოვლითი ჭრის შესახებ)“*
15. "საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
16. „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №240 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
17. მომზადებული და სამინისტროს მიერ მიღებული იქნა „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №25 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს გარემოსა



და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება; *(ადმინისტრაციული დეპარტამენტის ფუნქციების დაზუსტების საკითხზე);*

18. მომზადებული და სამინისტროს მიერ მიღებული იქნა „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №25 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება *(შიდა კონტროლის დეპარტამენტის შექმნის საკითხზე);*

19. მომზადებული და სამინისტროს მიერ მიღებული იქნა „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №25 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება *(სპეცსარგებლობა, ამორიცხვის და ხე-ტყის დამზადების სამსახურის შექმნის საკითხზე);*

20. მომზადებული და სამინისტროს მიერ მიღებული იქნა „2015-2016 წლებში სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებული II ხარისხის ხე-ტყის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 18 ნოემბრის №883 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება;

21. მომზადებული და სამინისტროში წარდგენილია „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №25 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტი; *(კერძო სამართლის იურიდიული პირის შექმნის საკითხზე);*

22. „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №25 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე *(დამზადების სამსახურთან დაკავშირებით.)*

**ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტები:**

23. მომზადდა მთავრობის განკარგულება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სატყეო სააგენტოსათვის შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობასთან, მათ შრომის ანაზღაურებასა და სააგენტოში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული შეზღუდვებიდან გამონაკლისის დაშვების თაობაზე“;

24. მომზადდა მთავრობის განკარგულება სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოსათვის „სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ვადის გაგრძელების თაობაზე“;



25. მომზადდა მთავრობის განკარგულება სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსათვის „სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ვადის განსაზღვრის შესახებ“;

26. მომზადდა მთავრობის განკარგულება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ „სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად წინასწარი თანხმობის გაცემის შესახებ“;

27. მომზადდა მთავრობის განკარგულება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სატყეო სააგენტოსათვის „შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობასთან, მათ შრომის ანაზღაურებასა და სააგენტოში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული შეზღუდვებიდან გამონაკლისის დაშვების თაობაზე“;

28. მომზადდა მთავრობის განკარგულება სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს „სამეგრელო ზემო-სვანეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ ხაიშის სატყეო უბნის ხაიში სატყეოს კვარტალ N8-ის ლიტერ N2-ში დასამზადებელი 710 მ3 წიწვოვანი და 70 მ3 ფოთლოვანი (სულ 780 მ3) მერქნული რესურსის პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემის შესახებ“.

#### საკანონმდებლო აქტები:

##### *მომზადდა:*

საქართველოს კანონპროექტი „ტყის ფონდის მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

„საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;

„სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;

საქართველოს კანონპროექტი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

##### *სასამართლოებში განხილული და მიმდინარე საქმეები*

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენლობა საერთო სასამართლოებში განხორციელდა 17 - საქმეზე; მიმდინარეა - 13 საქმე; სააგენტოს სასარგებლოდ დაკმაყოფილდა - 4 საქმე.





# საფინანსო საქმიანობა

## ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შესახებ

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2016 წლისათვის „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებული ბიუჯეტის (საქართველოს მთავრობის N422 განკარგულება 09.03.16.) დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად შემოსულობები განესაზღვრა 16 750,0 ათ. ლარის ოდენობით, აქედან შემოსავლები - დაფინანსება საბიუჯეტო სახსრების სახით 11 050,0 ათ. ლარი, საკუთარი შემოსავლები 5 700,0 ათ. ლარის ოდენობით. გადასახდელები დაიგეგმა სულ 18 760,0 ათ. ლარის ოდენობით, აქედან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში - 11 050,0 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან - 7 710,0 ათ. ლარის ოდენობით. პერიოდის დასაწყისისთვის არსებული ფულადი სახსრების ნაშთის (3 274,2 ათ. ლარი) ცვლილებამ (კლებამ) შეადგინა - 2010,0 ათ. ლარი.

ათ. ლარი

დასახელება	2016 დაზუსტებული ბიუჯეტი			2016 ფაქტი			2016 შესრულება		
	მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის		მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის		მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის	3,274.2	0.0	3,274.2	3,274.2	0.0	3,274.2			
<b>შემოსულობები</b>	<b>15,327.3</b>	<b>8,625.3</b>	<b>6,702.0</b>	<b>15,170.5</b>	<b>8,459.5</b>	<b>6,710.9</b>	<b>98.98%</b>	<b>98.08%</b>	<b>100.13%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>15,327.3</b>	<b>8,625.3</b>	<b>6,702.0</b>	<b>15,170.5</b>	<b>8,459.5</b>	<b>6,710.9</b>	<b>98.98%</b>	<b>98.08%</b>	<b>100.13%</b>
მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	8,625.3	8,625.3	0.0	8,459.5	8,459.5	0.0	98.08%	98.08%	
მ.შ. საკუთარი შემოსავლები	6,100.0	0.0	6,100.0	6,108.9	0.0	6,108.9	100.15%		100.15%
გრანტები	602.0	0.0	602.0	602.0	0.0	602.0	100.00%		100.00%
<b>გადასახდელები 38 04 (ნაერთი)</b>	<b>18,595.3</b>	<b>8,625.3</b>	<b>9,970.0</b>	<b>17,344.6</b>	<b>8,459.5</b>	<b>8,885.03</b>	<b>93.27%</b>	<b>98.08%</b>	<b>89.12%</b>
<b>გადასახდელები 38 04 01 (აპარატი)</b>	<b>15,408.7</b>	<b>6,851.6</b>	<b>8,557.1</b>	<b>14,888.7</b>	<b>6,713.6</b>	<b>8,175.1</b>	<b>96.63%</b>	<b>97.99%</b>	<b>95.54%</b>
<b>გადასახდელები 38 04 02 (მოვლა-აღდგენის ღონისძიებები)</b>	<b>879.1</b>	<b>734.6</b>	<b>144.5</b>	<b>855.2</b>	<b>714.5</b>	<b>140.7</b>	<b>97.28%</b>	<b>97.25%</b>	<b>97.40%</b>
<b>გადასახდელები 38 04 03 (ტყითსარგებლობის ღონისძიებები)</b>	<b>1,420.6</b>	<b>172.2</b>	<b>1,248.4</b>	<b>741.4</b>	<b>172.2</b>	<b>569.2</b>	<b>52.19%</b>	<b>100.00%</b>	<b>45.59%</b>
<b>გადასახდელები 38 04 04 (ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაცია)</b>	<b>512.7</b>	<b>492.7</b>	<b>20.0</b>	<b>485.1</b>	<b>485.1</b>	<b>0.0</b>	<b>94.63%</b>	<b>98.47%</b>	<b>0.00%</b>
<b>გადასახდელები 38 04 05 (ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები)</b>	<b>374.3</b>	<b>374.3</b>	<b>0.0</b>	<b>374.2</b>	<b>374.2</b>	<b>0.0</b>	<b>99.98%</b>	<b>99.98%</b>	

ნაშთის ცვლილება	-3,268.0	0.0	-3,268.0	-2,174.1	0.0	-2,174.1			
-----------------	----------	-----	----------	----------	-----	----------	--	--	--

მიმდინარე წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, სააგენტოს დაზუსტებული ბიუჯეტის შესაბამისად მიმდინარე შემოსულობები განესაზღვრა სულ 15 327,3 ათ. ლარით: შემცირდა დაფინანსება საბიუჯეტო სახსრებით 2 424,7 ათ. ლარით და განისაზღვრა 8 625,3 ათ. ლარით, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლების მაჩვენებელი, მოსალოდნელი შესრულების გათვალისწინებით, გაიზარდა 400,0 ათ. ლარით და შეადგინა 6100,0 ათ. ლარი; გარდა აღნიშნულისა - სააგენტომ მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად მიიღო მიმდინარე დანიშნულების გრანტი 602,0 ათ. ლარის ოდენობით. გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა ჯამში 18 595,4 ათ. ლარი, აქედან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში - 8625,3 ათ. ლარის ოდენობით, სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან - 9 970,0 ათ. ლარის ოდენობით. პერიოდის დასაწყისისთვის არსებული ფულადი სახსრების ნაშთის (3 274,2 ათ. ლარი) ცვლილებამ (კლებამ) შეადგინა - 3 268,0 ათ. ლარი.

2016 წლის შესრულების მიხედვით ფაქტობრივმა მიმდინარე დაფინანსებამ შეადგინა 15 170,5 ათ. ლარი (დაზუსტებული გეგმის 98,9 %). აქედან, საბიუჯეტო სახსრებით - 8 459,5 ათ. ლარი (98%), შემოსავლების სახით მიღებული იქნა 6 108,9 ათ. ლარი (100,15%), მიმდინარე გრანტის სახით 602,0 ათ. ლარი (100%).

სააგენტოს 2016 წლის გადასახდელებმა შეადგინა სულ 17 344,6 ათ. ლარი (დაზუსტებული გეგმის 93,3%), აქედან საბიუჯეტო სახსრებით - 8 459,6 ათ. ლარი (98,1%), საკუთარი სახსრებით 8 885,0 ათ. ლარი (89%).

### საბიუჯეტო სახსრები

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით 2016 წლისათვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებულმა ასიგნებებმა 11 050,0 ათ. ლარი შეადგინა, აქედან აპარატის ხარჯებისათვის დაიგეგმა - 8 720,0 ათ. ლარი, ხოლო სატყეო ღონისძიებებისათვის - 2 330,0 ათ. ლარი.

მიმდინარე წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, 2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს წლიურმა დაზუსტებულმა საბიუჯეტო ასიგნებებმა 8 625,3 ათ. ლარი შეადგინა, აქედან აპარატის - 6 851,6 ათ. ლარი, ხოლო სატყეო ღონისძიებების ბიუჯეტმა - 1 773,7 ათ. ლარი.

წლიური დაზუსტებული გეგმით სააგენტოს აპარატისათვის გათვალისწინებული იქნა 6 851,6 ათ. ლარი, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა 6 713,6 ათ. ლარი (98%).

- შრომის ანაზღაურების ფონდში დაგეგმილი 5 687,1 ათ. ლარიდან, რომელიც წარმოადგენს ძირითადი საშტატო ერთეულების შრომის ანაზღაურების (ხელფასის) ფონდს, ათვისებული იქნა 5 687,0 ათ. ლარი (გეგმის 100%); საბიუჯეტო სახსრების დამტკიცებულ





გეგმაში გატარებული ცვლილებების შედეგად, 2016 წლის ოქტომბრის თვე ნაწილობრივ, ხოლო ნოემბრისა და დეკემბრის თვის საშტატო სახელფასო ფონდი დაფინანსდა სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან.

- საქონელი და მომსახურეობის მუხლით, მიმდინარე წლის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 1 010,2 ათ. ლარის ხარჯის გაწევა, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა 883,0 ათ. ლარი (87,4%). აქედან, ოფისის ხარჯებისათვის მიმართული იქნა 103,9 ათ. ლარი, ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე - 777,8 ათ. ლარი.
- სოციალური უზრუნველყოფის მუხლით დაგეგმილი იყო 55,0 ათ. ლარი, რაც მთლიანად იქნა ათვისებული (გეგმის 100%).
- არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით დაგეგმილი იყო 97,8 ათ. ლარი, საიდანაც საკასო გადახდა განხორციელდა 88,6 ათ. ლარზე. (გეგმის 91%): ჩატარდა თიანეთის სატყეო უბნის შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები: 74,8 ათ. ლარის, შესყიდული იქნა 13,8 ათ. ლარის სხვადასხვა ინვენტარი (ავეჯი, პროექტორი, კონდიციონერები, კომპიუტრები და სხვა საოფისე ტექნიკა).

**სააგენტოს ღონისძიებებიდან მიმდინარე წელს საბიუჯეტო სახსრების გაწევა დაგეგმილი იყო 4 ღონისძიებაზე:**

**ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებებისათვის** - დამტკიცებული კანონით განისაზღვრა 800,0 ათ. ლარი, ხოლო დაზუსტებული გეგმით - 734,6 ათ. ლარი, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა 714,5 ათ. ლარი (გეგმის 97%). აქედან 215,9 ათ. ლარი მიმართული იქნა შტატგარეშე მუშაკების შრომის ასანაზღაურებლად, რომლებიც დასაქმებულნი არიან სანერგეების მოვლა-შენახვაზე. გარდა აღნიშნულისა, გაფორმებული იქნა ხელშეკრულებები 512,1 ათასი ლარის ღირებულების საქონლისა და მომსახურეობის შესყიდვის მიზნით. აქედან, 30,0 ათ. ლარის ხარჯი გაწეული იქნა მერქნული სახეობების თესლების შესყიდვის მიზნით, ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდული იქნა ფერომონები - 211,6 ათ. ლარის, განხორციელდა ბზის კორომების შეწამვლის მომსახურეობის შესყიდვა - 59,7 ათ. ლარის ოდენობით. შეძენილი იქნა 35,5 ათ. ლარის ღირებულების ნერგები, სანიტარული ჭრის ფარგლებში, ხე-ტყის დამზადების მომსახურების შესყიდვისათვის მიმართული იქნა 74,7 ათ. ლარი, ასევე, 87,0 ათ. ლარი მიმართული იქნა სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების, მათ შორის მოხვნა-დაფარცხვის მომსახურების შესყიდვისათვის, სანერგეების შესაღობი მასალის და სხვ. შესაძენად.

**„ტყითსარგებლობის ღონისძიებებისათვის“** - დამტკიცებული კანონით განისაზღვრა 900,0 ათ. ლარი, ხოლო დაზუსტებული გეგმით - 172,2 ათ. ლარი (საკასო შესრულებამ, 2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით, 172,2 ათ. ლარი შეადგინა, გეგმის 100%). აქედან 106,4 ათ. ლარი მიმართული იქნა შტატგარეშე მუშაკების შრომის ასანაზღაურებლად, ხოლო ტრანსპორტის, კერძოდ საწვავისა და ბულდოზერის სათადარიგო ნაწილებისათვის - 59,3 ათ. ლარი, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით პირველ კვარტალში გადარიცხული იქნა 6,4 ათ. ლარი (2015 წელს შესრულებულ გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე) .



„ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის ღონისძიებების“ ფარგლებში - დამტკიცებული კანონით განისაზღვრა 500,0 ათ. ლარი, ხოლო დაზუსტებული გეგმით - 492,7 ათ. ლარი (საკასო შესრულებამ 2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით 485,1 ათასი ლარი შეადგინა, გეგმის 98%). გაფორმებული იქნა ხელშეკრულებები 148,9 ათას ლარზე, ძირითადი აქტივების, საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე: შეძენილი იქნა სანავიგაციო ხელსაწყოები - GPS-ები (90,0 ათ. ლარის ღირებულების) შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით (4,0 ათ. ლარი); შედგა ტენდერი და გაფორმდა ხელშეკრულება საზომი ხელსაწყოების - ორთითების შეძენის მიზნით 28,4 ათ. ლარზე. ასპინძა-ახალქალაქის და ახალციხის სატყეო უბნების ინვენტარიზაციის სამუშაოებისათვის, რომელიც დაიწყო 2015 წელს და დასრულებულ იქნა 2016 წელს (მრავალწლიანი შესყიდვა) - მიმართული იქნა 336,2 ათ. ლარი.

- **ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ფარგლებში** - დამტკიცებული კანონით განისაზღვრა 130,0 ათ. ლარი, ხოლო დაზუსტებული გეგმით - 374,3 ათ. ლარი (საკასო შესრულებამ 2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით 374,2 ათასი ლარი შეადგინა, გეგმის 100%). გაფორმებული იქნა ხელშეკრულებები 21,6 ათას ლარზე: საინფორმაციო დაფებისა და ცეცხლმაქრების (უსაფრთხოების ზურგანთის) შეძენის მიზნით; არაფინანსური აქტივების მუხლით გაწეული იქნა ხარჯი 352,6 ათ. ლარის ოდენობით 1 ერთეული მძიმე ტექნიკის - „ბულდოზერის“ შესყიდვის (ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადებში შეუსრულებლობის გამო ვერ განხორციელდა ტექნიკის შეძენა 2015 წელს, მოწოდებულ იქნა 2016 წლის იანვრის თვეში).

*კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები და გადასახდელები*


საბიუჯეტო სახსრების გარდა, სააგენტოს, დაზუსტებული მაჩვენებლებით, 2016 წელს დაგეგმილი ჰქონდა სხვა (საკუთარი) შემოსავლების სახით მიეღო 6 100,0 ათ. ლარი. აქედან: მომსახურების საფასურის, ტყითსარგებლობის წლიური საფასურის და სხვა კანონით ნებადართული შემოსავლების სახით - 3 788,5 ათ. ლარი; 1 800,0 ლარის მიღება დაგეგმილია მერქნული რესურსის დამზადებისა და აუქციონის წესით გაცემის სახით მისაღები შემოსავლებიდან; 280,0 ათ. ლარი - ბანკში დეპოზიტზე დარიცხული პროცენტიდან, ხოლო 231,5 ათ. ლარი საკომპენსაციო თანხებიდან; ასევე, „ზოგიერთი ღონისძიების გატარების თობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 3 აგვისტოს N1585 განკარგულების მე-2 პუნქტის „ა.ე.“ ქვეპუნქტის შესაბამისად განხორციელებული ბიუჯეტის ხარჯების შემცირების დეფიციტის აღმოსაფხვრელად სააგენტოს გარემოს ეროვნული სააგენტოდან მიმდინარე გრანტის სახით გადმოეცა 602,0 ათ. ლარი.


ფაქტობრივად, ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ 2016 მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა **6108,9 ათ. ლარი**, მათ შორის:

- ხე-ტყის დამზადების ბილეთების გაცემიდან - 1 641,0 ათ. ლარი;



- ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა და დაფირნიშება - 109,7 ათ. ლარი;
- ტყითსარგებლობის ხელშეკრულებებიდან (საკომუნიკაციო ანძების განთავსებისთვის ტყის ფონდის ტერიტორიაზე) – 1 818,6 ათ. ლარი;
- ტყითსარგებლობის ხელშეკრულებებიდან (ტყის ფონდის სარგებლობა) – 11,1 ათ. ლარი;
- ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმისა და სპეციალური ფირნიშების რეალიზაციიდან - 73,5 ათ. ლარი;
- ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისთვის საკომპენსაციო საფასურიდან - 546,9 ათ. ლარი
- მერქნული რესურსის რეალიზაციიდან - 1520,6 ათ. ლარი ;
- სხვა დანარჩენი (ბანკის სარგებელი) – 345,9 ათ. ლარი;
- სხვა არაკლასიფიცირებული (ავტომობილის ზარალის ანაზღაურება, პირგასამტეხლო და სხვა) - 41,6 ათ. ლარი;





გარდა აღნიშნულისა, სააგენტოს შემოსავლებში აისახა გარემოს ეროვნული სააგენტოდან გადმოცემული სახსრები (მიმდინარე დანიშნულების გრანტის სახით) - 602,0 ათ. ლარის ოდენობით.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში **სანიტარული ჭრის შედეგად** დამზადებული მერქნული რესურსის რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა - 241,7 ათ. ლარი, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართა 186,2 ათ. ლარი, ადგილობრივ ბიუჯეტში მოსაკრებლების სახით - 20,4 ათ. ლარი, სააგენტოს ანგარიშზე, მომსახურების საფასურის სახით 1.9 ათ. ლარი. 01.01.17. მდგომარეობით სადეპოზიტო ანგარიშზე ნაშთმა შეადგინა 33,3 ათ. ლარი, საიდანაც ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშებზე მიმართვა (მ.შ.სახელმწიფო ბიუჯეტში 27,0 ათ. ლარის, ადგილობრივ ბიუჯეტში მოსაკრებლების სახით - 3,4 ათ. ლარის) განხორციელდა 2017 წლის იანვრის თვეში.

საანგარიშო წელს საკუთარი შემოსავლებიდან გასაწევი ხარჯების წლიური დამტკიცებული მოცულობიდან (9 970,0 ათ. ლარი) საკასო შესრულებამ შეადგინა 8 885,0 ათ. ლარი (გეგმის 89%)

წლიური დაზუსტებული გეგმით სააგენტოს აპარატისათვის საკუთარი შემოსავლებიდან გათვალისწინებული იქნა 8 557,1 ათ. ლარი, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა 8 175,1 ათ. ლარი (95,5%) მათ შორის:

- ✓ შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა - 3 866,0 ათ. ლარი (გეგმის 99,7%), აქედან „თანამდებობრივი სარგოს“ სახით - 1678,9 ათ. ლარი (მე-4 კვარტალში); 1 422,9 ათ. ლარი - „დანამატის“ ქვემუხლით და 764,2 ათ. ლარი „პრემიის“ ქვემუხლით.
- ✓ „საქონელი და მომსახურების“ მუხლით ვალდებულება აღებული იქნა 2 548,7 ათ. ლარზე (გეგმის 97%), საიდანაც საკასო გადახდა განხორციელდა 2 477,8 ათ. ლარზე ( გეგმის 94%); მ.შ. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე მიიმართა - 1 204,0 ათ. ლარი, მივლინებებზე - 142,9 ათ. ლარი, ოფისის ხარჯებზე - 207,3 ათ. ლარი, ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე - 366,6 ათ. ლარი, სხვა დანარჩენი (ექსპერტიზის, საარქივო მომსახურების და სხვ) - 413,4 ათ. ლარი.



- ✓ „სხვა ხარჯებისთვის“ (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები: დღგ, ქონების, მოგების და სხვ; სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი) – ვალდებულება აღებული იქნა 1 083,9 ათ. ლარზე (გეგმის 91%). აღნიშნული მუხლით საკასო გადახდა განხორციელდა 1 076,1 ათ. ლარზე (გეგმის 90%),
- ✓ „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით დაგეგმილი იყო 524,0 ათ. ლარი- საიდანაგ საკასო გადახდა განხორციელდა 511,3 ათ. ლარზე (გეგმის 98%), მათ შორის 454,6 ათ. ლარი მიმართული იქნა სატრანსპორტო საშუალებების შესაძენად, სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის (კომპიუტერული მოწყობილობები, ტელევიზორი, ავეჯი და მობილური ტელეფონი) შესაძენად მიმართული იქნა 51,7 ათ. ლარი, ხოლო 5,0 ათ. ლარი მიმართული იქნა დენის, გაზის, წყლის შეყვანასა და შენობის რეგისტრაციისათვის.
- ✓ „ვალდებულებების კლების“ მუხლით პირველ და მეორე კვარტალში განხორციელდა საკასო გადახდა 202,3 ათ. ლარის ოდენობით 2015 წელს შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებაზე.

სააგენტოს ღონისძიებებიდან მიმდინარე წლის მესამე კვარტალში საკუთარი შემოსავლებიდან ხარჯების გაწევა დაიგეგმა 3 ღონისძიებაზე:

- „ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებებისათვის“ – 144,5 ათ. ლარი (წლიური გეგმა), რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა 140,7 ათ. ლარი (97%). მ.შ. შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 116,7 ათ. ლარი, „სამედიცინო ხარჯების“ მუხლით მიმართული იქნა 24,0 ათ. ლარი შესაწამლი ნივითიერების- ბიოლოგიური ინსექტიციდის შესაძენად.
- „ტყის სარგებლობის ღონისძიებებისათვის“ – 1 248,4 ათ. ლარი, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა 569,2 ათ. ლარი (46%). საკასო გადახდა მთლიანად განხორციელდა “საქონელი და მომსახურების” მუხლით, ხე-ტყის დამზადების მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.
- „ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის ღონისძიებებისათვის“ – გეგმით გათვალისწინებული 20 ათ. ლარის ათვისება არ განხორციელდა.

### დაფინანსება სხვა წყაროებიდან

ხელი მოეწერა „იმერეთის რეგიონში დაავადებული წაბლნარი ტყეების აღდგენის და განახლების პროგრამის და ეკო-პრემიების პროგრამის შესახებ“ ხელშეკრულებას მიზნობრივი დაფინანსების შესახებ საქართველოს მთავრობასა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას (BTC Co) და სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიას (SCP Co) შორის, რომლის თანახმად სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მისაღები თანხა შეადგენს 950 000 აშშ დოლარს (ცხრაას ორმოცდაათი ათასი აშშ დოლარი). აღნიშნული თანხა დარეგისტრირდა ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის ელექტრონულ ბაზაში, რომლის ათვისება დაიწყება 2017 წელს.





### ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია

- ✓ მომზადდა და მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულებები საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტოს 2016 წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების თაობაზე (ძირითადი განკარგულება და ცვლილება);
- ✓ მომზადდა ცვლილებები სააგენტოს 2016 წლის ბიუჯეტში;
- ✓ მომზადდა სააგენტოს 2017-2019 წწ. საბიუჯეტო განაცხადი;
- ✓ მომზადდა საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტები საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად წინასწარი თანხმობის გაცემის შესახებ (12 ერთეული მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომანქანის და 15 ერთეული კომბინირებული პრინტერისა და 1 პერსონალური კომპიუტერის შესყიდვის მიზნით);
- ✓ მომზადდა ცვლილებები სააგენტოს 2016 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმებში;
- ✓ სააგენტოს ადმინისტრაციული და სხვა საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით 1 755,7 ათ. ლარზე (132 ხელშეკრულება), საკუთარი სახსრებით 2 245.0 ათ. ლარზე (177 ხელშეკრულება).
- ✓ მომზადდა სააგენტოს 2017 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა;
- ✓ მომზადდა ნაერთი ინფორმაცია სატყეო სამსახურების და ცენტრალური აპარატის სამსახურებრივი საჭიროებისათვის შესასყიდი საერთო გამოყენების სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო ინვენტარის შესახებ.
- ✓ ბაზრის კვლევის საფუძველზე მომზადდა დოკუმენტაცია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს საჭიროებისათვის 12 ერთეული ავტომანქანა ნივის შესაძენად.
- ✓ უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა სააგენტოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების (მ.შ. მძიმე ტექნიკის) მოვლა-შენახვის მომსახურება: მრავალჯერად შეკეთდა სააგენტოს ბალანსზე რიცხული 115 ერთეულამდე ავტომანქანა; რემონტი ჩატარდა ბალანსზე რიცხულ მძიმე ტექნიკას ბულდოზერს T-130-ს, ბულდოზერს KOMATSUD65EX15EO-ს, დამტვირთავს JOHN DEERE-ს, ბულდოზერ „ჩეტრა“-ს და სხვ.
- ✓ განხორციელდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებთან დადებული მიმდინარე ხელშეკრულებების მომსახურებებზე კონტროლის ჯგუფის დასკვნებისა და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება;
- ✓ განხორციელდა სააგენტოს ცენტრალური აპარატის და რეგიონალური სატყეო სამსახურების საკანცელარიო და სხვა სამეურნეო საქონლით უზრუნველყოფა;





- ✓ განხორციელდა ყოფილი სატყეო დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების კოორდინატების ადგილზე დაზუსტება და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უძრავი ქონების მოსარგებლედ რეგისტრაცია (დარეგისტრირდა 16 ერთეული); მომზადებულ იქნა კორესპონდენციები სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში წარსადგენად და შემდგომში მათი დამოწმება.
- ✓ სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გადაეცა სააგენტოს ბალანსზე რიცხული 2 ერთეული ამორტიზებული სატრანსპორტო საშუალება (ბულდოზერი) და 6 ერთეული მაღალი გამავლობის ავტომანქანა;
- ✓ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს თიანეთის სატყეო უბნის შენობას ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი;
- ✓ განხორციელდა რეგიონალურ თვითმართველ ორგანოებში არსებული სატყეო/სამეურნეო გზების მოწყობა/რეაბილიტაციისთვის საჭირო მძიმე ტექნიკის მოძიება და სააგენტოსთვის დროებით სარგებლობაში გადმოცემის უზრუნველყოფის ღონისძიებები: ადგილობრივი თვითმმართველობებიდან 5 ერთეული მძიმე ტექნიკის სააგენტოსათვის გადმოცემა, მათი ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილებამდე, აგრეთვე გადმოცემული ტექნიკის მიმდინარე შეკეთება;
- ✓ ცაგერის მუნიციპალიტეტს გადაეცა სააგენტოს ბალანსზე რიცხული ბულდოზერი TDT-55;
- ✓ სპეციალური ჭრის შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის (მრგვალი ხე-ტყე (მორი-შეშა) საკუთრებაში გაცემის მიზნით 2016 წელს გამოცხადდა 121 ელექტრონული აუქციონი. გამოცხადებული აუქციონებიდან შედგა 67. გაყიდული მერქნის 7 411,358 კმ საბოლოო ფასმა შეადგინა 1 546 615,10 ლარი (აქედან სამეგრელოში გაყიდული მერქნის 2 264,47 კმ საბოლოო ფასმა შეადგინა 451 264,80 ლარი, რაჭაში გაყიდული მერქნის 4068,4 კმ საბოლოო ფასმა შეადგინა 887 432,10 ლარი, სამცხეში (სანიტარული) გაყიდული მერქნის 1078,5 კმ საბოლოო ფასმა შეადგინა 207 918,20 ლარი);
- ✓ 2016 წელს გამოცხადდა 10 ელექტრონული აუქციონი სახელმწიფო ტყის ფონდში არსებული მიწის ნაკვეთებზე (საკომუნიკაციო ანძების განთავსება). გამოცხადებული აუქციონებიდან შედგა 9 აუქციონი. აუქციონის საბოლოო ფასმა შეადგინა 257 600 ლარი;
- ✓ 2016 წელს გამოცხადდა 6 ელექტრონული აუქციონი, ტყის ფონდის არასასოფლო-სამეურნეო სარგებლობაში გაცემის მიზნით 5, 10 და 49 წლამდე ვადით. გამოცხადებული აუქციონებიდან შედგა 5 აუქციონი. აუქციონის საბოლოო ფასმა შეადგინა 8 424,60 ლარი;
- ✓ 2016 წელს სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის ჩარიცხულია საკომპენსაციო საფასური - 546 895,79 ლარი (აქედან 299 578.24 ლარი მოჭრილი რესურსის კომპენსაციის სახით, 247 317,55 ლარი ფართობით სარგებლობის).



## ტყის აღრიცხვა

სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობების შესახებ მომზადდა ინფორმაცია (სატაქსაციო დახასიათება);

- სასოფლო სამეურნეო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულებით ტყითსარგებლობა – 434.45 ჰა.
- ტყის ფონდის ტერიტორიაზე წიაღით სარგებლობისათვის ფართობების შესწავლა - მოთხოვნილი 680.99 ჰა ფართობიდან, 624.36 ჰა ფართობი მდებარეობს ტყის ფონდში.
- ტყის ფონდის ტერიტორიაზე სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა - 2084203.77 კვ.მ ფართობი.
- სამონადირეო მეურნეობის ლიცენზიის გაცემის მიზნით, ტყის ფონდში მოთხოვნილი იქნა - 102456,3 ჰა ფართობი.
- სამონადირეო მეურნეობისათვის შერჩეული ფართობების კონტურების დადგენა განხორციელდა 7570 ჰა ფართობზე.
- ტყის ფონდიდან ამოსარიცხი ფართობების შესწავლა - მოთხოვნილია 992.54 ჰა, აქედან თანხმობა გაცემულია 517.45 ჰა-ზე; უარი ითქვა 227.1 ჰა-ზე; დამუშავების პროცესშია 247.99 ჰა.
- განხორციელდა ასპინძა-ახალქალაქის 20575 ჰა-ზე და ახალციხის სატყეო უბნების 33042 ჰა-ზე ტყის მართვის გეგმების საჯარო განხილვა.
- დაზუსტდა და საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა როგორც სახელმწიფო საკუთრება (სახელმწიფო ტყის ფონდი) 4 საკომუნიკაციო ნაგებობის (ანძა) მიერ დაკავებული ფართობი.

ტყის აღრიცხვის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ხორციელდება სატყეო უბნების დაყოფა კვარტლებად, Shp ფაილების სახით.



## ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებები

### სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

- განხორციელდა სანიტარული ჭრის ჭრაგავლილ ფართობებზე, ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები (ფართობის გაწმენდა, აჩიქვნა და შემოღობვა, პროექტით გათვალისწინებულ მონაკვეთებზე) ბორჯომის სატყეო უბნის, ბორჯომის სატყეოს კვ.N20-23 - ში 27,7 ჰა ფართობზე (269 ჰა ფართობიდან, სადაც განხორციელდა სანიტარული ჭრები);
- ბორჯომის სატყეო უბნის ტბის სატყეოში, ნახანძრალ ტერიტორიაზე, 4,3 ჰა ფართობზე განხორციელდა შევსება, (ინვენტარიზაციით დადგენილი პროცენტული რაოდენობით), დარგული იქნა 4280 ცალი ნერგი.
- 2016 წელს განხორციელდა 80,5 ჰა ფართობზე გაშენებული ნარგავების მოვლის ღონისძიებები (2-ჯერ), სავეგეტაციო პერიოდში.
- ასევე, განხორციელდა მოვლის ღონისძიებები დროებითი ტყის სანერგეებში (2-ჯერ) ტბის სატყეოში - 0,5 ჰა, ურაველის სატყეოში - 0,08 ჰა, ბაკურიანის სატყეოში - 0,02 ჰა ფართობებზე.
- მოვლის ღონისძიებები განხორციელდა ბუნებრივი განახლების ხელშეწყობისათვის გამოყოფილ 3,4 ჰა ფართობზე, ბორჯომის სატყეოს ტერიტორიაზე.

### გურიის რეგიონი

- ლანჩხუთის სატყეო უბნის მთის სატყეოს კვ.N47-ის ლიტ.N3;4-ში, 0,7 ჰა ფართობზე გაშენდა 3000 ცალი ნერგი, მ.შ. მუხა წაბლფოთოლა 1500 ცალი, მუხა იმერეთის 1500 ცალი. ფართობი შემოიღობა 350 გრმ. მეტრზე.
- ლანჩხუთის სატყეო უბნის მთის სატყეოს კვ.N47-ის ლიტ.N10;11-ში 0,3 ჰა ფართობზე გაშენდა მუხა წაბლფოთოლა - 750 ცალი, მუხა იმერეთის - 750 ცალი. ფართობი შემოიღობა 205 გრმ. მეტრზე.
- ოზურგეთის სატყეო უბნის მთისპირის სატყეოს კვ.N1;2-ში, პროექტით გათვალისწინებულ მონაკვეთებზე (ტყის გაშენების კომპლექსური პროექტი), 18,2 ჰა ფართობზე, განხორციელდა ფართობის გაწმენდა (10,6 ჰა), ასევე განხორციელდა ფართობის შემოღობვა 2241 გრმ. მეტრზე. ადრეული ყინვების გამო, დარგვის ღონისძიებების განხორციელება მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული 2017 წლის გაზაფხულზე.
- მოვლის ღონისძიებები ჩაუტარდა სუფსის სატყეოში მოწყობილ დროებითი ტყის სანერგეს - 0,5 ჰა ფართობზე, ასევე სანერგის სასკოლო განყოფილებას - 0,3 ჰა ფართობზე.

### კახეთის რეგიონი

- გურჯაანის სატყეო უბნის ლელის სატყეოს კვ.N5-ში 14,7 ჰა ფართობზე გაშენდა აკაციის პლანტაცია. დარგული იქნა 73500 ცალი ყვარლის სატყეო უბნის ახალსოფლის სატყეოს კვ.N102-



ში 2016 წელს მოწყობილი დროებითი ტყის სანერგეში აღზრდილი თესლნერგი. ამავე ტერიტორიაზე დამუშავდა ნიადაგი 0,2 ჰა ფართობზე 2017 წლის გაზაფხულზე დროებითი ტყის სანერგის მოსაწყობად (აკაცია). განხორციელდა ფართობის შემოღობვა 2467 გრძ.მ-ზე.

- დედოფლისწყარო-სიღნაღის სატყეო უბნის წნორის სატყეოს კვ. N1-ში 5,8 ჰა ფართობზე გაშენდა აკაციის პლანტაცია. დარგული იქნა 37700 აკაციის თესლნერგი, რომელიც აღზრდილ იქნა ყვარლის სატყეო უბნის ახალსოფლის სატყეოს კვ. N101-ის ტერიტორიაზე 2016 წელს. ფართობი შემოიღობა 1376 გრძ.მ-ზე.
- ყვარლის სატყეო უბნის ახალსოფლის სატყეოში მოწყობილ აკაციის პლანტაციებს (6,5 ჰა და 3,3 ჰა) ჩაუტარდათ სეზონური მოვლის ღონისძიებები (2-ჯერ).
- მოვლის ღონისძიებები (გამარგვლა-გაფხვიერება) ჩაუტარდა ახალსოფლის სატყეოში მოწყობილ დროებითი ტყის სანერგეს (აკაცია) – 0,2 ჰა ფართობზე (2-ჯერ).

### ქვემო ქართლი

- თეთრიწყაროს სატყეო უბნის ხრამის სატყეოს კვ. N54-ის ლიტ. N8-ში, 0,4 ჰა ფართობზე დროებითი ტყის სანერგის მოსაწყობად განხორციელდა ნიადაგის მომზადება (მოხვნა, გადახვნა, დაფარცხვა). ფართობის შემოღობვა და თესვა გათვალისწინებულია 2017 წლის გაზაფხულზე, დაითესება ფიჭვი.
- ბოლნისის სატყეო უბნის ბოლნისის სატყეოს კვ. N25-ის ლიტ. N20-ში 0,4 ჰა ფართობზე მოეწყო დროებითი ტყის სანერგე, სადაც დაითესა მინდვრის ნეკერჩხალი და მუხა ქართული. პროექტით გათვალისწინებული ელდარის ფიჭვის თესვა გათვალისწინებულია გაზაფხულზე. ფართობი შეიღობა 300 გრძ. მეტრზე.
- ბოლნისის სატყეო უბნის ფოლადაურის სატყეოს კვ. N11-ის ლიტ. N23-ში, 0,4 ჰა ფართობზე მოეწყო დროებითი ტყის სანერგე, სადაც დაითესა: ნეკერჩხალი მინდვრის და მუხა ქართული, ხოლო ელდარის ფიჭვი, რომლის თესვა გათვალისწინებულია პროექტით, დაითესება გაზაფხულზე. ფართობი შეიღობა 261 გრძ. მეტრზე.

### შიდა ქართლის რეგიონი

- ხაშურის სატყეო უბნის ალის სატყეოს კვ. N29-ის ლიტ. N7-11, 0,7 ჰა ფართობზე მოეწყო დროებითი ტყის სანერგე, მომზადდა ნიადაგი (მოხვნა, გადახვნა, დაფარცხვა), ფართობი შეიღობა 519 გრძ.მ-ზე. 2017 წლის გაზაფხულზე გათვალისწინებულია შავი და კავკასიური ფიჭვების თესვა (მათი ბიოეკოლოგიური თვისებების გათვალისწინებით).
- კასპის სატყეო უბნის ქსნის სატყეოს კვ. N10-ის ლიტ. N12-ში 0,6 ჰა ფართობზე გაშენდა ვერხვის (ალვის ხე) პლანტაცია. აღნიშნული პლანტაცია გაშენდა 2016 წელს დაკალმებული ვერხვის ნერგებით, დაირგო 2700 ცალი ნერგი.
- კასპის სატყეო უბნის ქსნის სატყეოს კვ. N10 ლიტ. N29 0,2 ჰა ფართობზე მოეწყო დროებითი ტყის სანერგე, შემოიღობა და დაითესა პროექტით გათვალისწინებული სახეობები.



## იმერეთის რეგიონი

- ხარაგაულის სატყეო უბნის მოლითის სატყეოში ყოფილი საკოლმეურნეო ტყის ტერიტორიაზე - 0,06 ჰა ფართობზე მოეწყო დროებითი ტყის სანერგე, სადაც დამუშავდა ნიადაგი (მოხვნა, გადახვნა, დაფარცხვა) და შემოიღობა ფართობი. დაითესა ცაცხვი.
- მოვლის ღონისძიება (გამარგვლა-გაფხვიერება) ჩაუტარდა ცხუნკურის სატყეოში მოწყობილ დროებით ტყის სანერგეში არსებულ თესლნერგებს.
- ტყიბულის სატყეო უბნის ტყიბულის სატყეოს კვ.N16-ის ლიტ.N11-ში 0,12 ჰა ფართობზე მოეწყო დროებითი ტყის სანერგე, სადაც განხორციელდა ნიადაგის დამუშავება და ფართობის შემოღობვა. თესვა განხორციელდება 2017 წლის გაზაფხულზე.

## მცხეთა-მთიანეთის რეგიონი

- მცხეთა-დიდგორის სატყეო უბნის, ბევრეთის სატყეოს (ყოფილი საკოლმეურნეო ტყე) ტერიტორიაზე, განხორციელდა ხანძრის შედეგად დამწვარი ხეების მოჭრა და ფართობიდან გამოტანა, ნახანძრალ 2,4 ჰა ფართობზე განხორციელდა ტერიტორიის შემოღობვა 653 გრძ. მეტრზე, კლიმატური პირობების გაუარესების გამო (ადრეული ყინვა, თოვლი) დარგვა განხორციელდება 2017 წლის გაზაფხულზე, დაირგვება ფიჭვი და მინდვრის ნეკერჩხალი.



## ტყის მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებები

### იმერეთი

- ჩატარდა კოლხური ბზის დაზიანებულ კორომებში მავნებლის წინააღმდეგ შეწამვლის 3 ეტაპი. შეიწამლა 63 ჰა ფართობი

### გურია

- ჩატარდა კოლხური ბზის დაზიანებულ კორომებში მავნებლის წინააღმდეგ შეწამვლის 3 ეტაპი. შეიწამლა 100 ჰა ფართობი.

### სამეგრელო-ზემო სვანეთი

- ჩატარდა კოლხური ბზის დაზიანებულ კორომებში მავნებლის წინააღმდეგ შეწამვლის 3 ეტაპი. შეიწამლა 237 ჰა ფართობი.

### სამცხე-ჯავახეთი

- წიწვოვან კორომებში განხორციელდა ფერომონიანი მწერმჭერების განთავსება, 2425 ცალის ოდენობით. ფერომონების შეცვლა სეზონზე განხორციელდა 2-ჯერ. აღნიშნულ ტერიტორიაზე, ყოველ 10-დღეში ერთხელ ტარდებოდა მონიტორინგი (მწერმჭერების დაცლა, მავნებლების შეგროვება და დაწვა). სულ ჩატარდა 13 - მონიტორინგი, განადგურებული იქნა 2894785 მავნებელი ქერქიჭამია.
- წიწვოვან კორომებში (ოქტომბრის ბოლოს) განხორციელდა ფერომონიანი მწერმჭერების ჩამოხსნა და დასაწყობება შესაბამის სატყეო უბნებზე. მთლიანად ჩამოხსნილი იქნა 2425 ცალი მწერმჭერი.





## ტყითსარგებლობა

### ინფორმაცია ტყითსარგებლობის გეგმების განხილვების შესახებ:

- ✓ განხორციელდა N100071 და N1000004 ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიებით გათვალისწინებული ტყითსარგებლობის გეგმებში შესატანი ცვლილებების შესახებ პროექტის მომზადება/განხილვა და დასამტკიცებლად წარდგენა.
- ✓ განხორციელდა ორი (ბორჯომ-ბაკურიანის და ხარაგაულის სატყეო უბნების) ტყის მართვის გეგმის პროექტის განხილვა და დასამტკიცებლად წარდგენილია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში.
- ✓ განხორციელდა ასპინძა-ახალქალაქის და ახალციხის სატყეო უბნების ტყის მართვის გეგმების პროექტების განხილვა. მიმდინარეობს პროექტების სამინისტროში წარდგენა დასამტკიცებლად.

### ინფორმაცია გრძელვადიანი (იჯარები) ტყითსარგებლობის შესახებ:

განხილულ იქნა 112 საქმე გრძელვადიანი (იჯარები) ტყითსარგებლობასთან დაკავშირებით აქედან: 50 გამცხადებელს ეთქვა უარი გრძელვადიანი ტყითსარგებლობის (იჯარა) უფლების მინიჭების შესახებ, 62 განმცხადებლის მიერ შემოტანილ განაცხადზე მიმდინარეობს საქმისწარმოება.

- ✓ გრძელვადიანი ტყითსარგებლობის (იჯარა) მიზნით გაფორნდა 5 (ხუთი) ხელშეკრულება:
  1. შ.პ.ს. „მელვინეობა ხარება“;
  2. შ.პ.ს „georgianairlink“;
  3. ფ/პ ვადიმ ამიროვი
  4. შ.პ.ს. „ნერგები“;
  5. შ.პ.ს „ნეკრესელი“.

### ინფორმაცია სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის შესახებ:

*გაიცა თანხმობა სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის მიზნით:*

1. დუშეთის მუნიციპალიტეტი;
2. სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველო
3. ადიგენის გამგეობა
4. სს „სვანეთის ჰიდრო“.
5. მცხეთის მუნიციპალიტეტი;



6. შ.პ.ს „კლდე“;
7. შ.პ.ს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“
8. შ.პ.ს „პისი მაქსი“
9. შ.პ.ს „კავკასიის სამთო ჯგუფი“
10. შ.პ.ს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
11. შ.პ.ს „სერპანტინი“
12. ფ/პ ირაკლი კერვალიშვილი
13. შ.პ.ს „მაგთიკომი“
14. შ.პ.ს „ლოლაშენი2009“;
15. შ.პ.ს „კასკასიის სამთო ჯგუფი“;
16. შ.პ.ს ჯორჯიან კოპ. ენდ. გოლდი“;
17. შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია გაზი“;
18. სს „სილქნეტი“;
19. სს „სილქნეტი“;
20. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“.
21. სს"სილქნეტი"
22. სს"სილქნეტი"
23. სს"სილქნეტი"
24. დუშეთის მუნიციპალიტეტი
25. სს"სილქნეტი"
26. სს"სილქნეტი"
27. შ.პ.ს "სტოუნ გრუპი"
28. სს"ენერგო პრო ჯორჯია"
29. შ.პ.ს "ლუგელა"
30. შ.პ.ს "RMG GOLD”
31. შ.პ.ს "ნიკა 2015"
32. შ.პ.ს "ჰაიდელბერგემენტ ჯორჯია"

ინფორმაცია სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა მოპოვების შესახებ:

- ✓ სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის მიზანშეწონილობის თაობაზე, განხილულ იქნა გარემოს ეროვნული სააგენტოდან შემოსული 116 კორესპოდენცია. აქედან 41 ფართობზე გაიცა თანხმობა, ხოლო 74 ფართობზე ლიცენზიის გაცემა მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული.

**საქმისწარმოება საკომუნიკაციო ნაგებობების განთავსებასთან დაკავშირებით:**

ხელშეკრულება გაფორმდა სულ: 202 ერთეულ კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობაზე:

- შ.პ.ს „მაგთიკომთან“-65 ;
- შ.პ.ს „ჯეოსელი“ – 85;
- შ.პ.ს „მობიტელი“ – 49;
- შ.პ.ს „კავკასუს ონლაინი“ – 2.
- შ.პ.ს „კურორტი საირმე“ – 1.

- ✓ მომზადდა ხელშეკრულება შპს „მობიტელი“-სათვის აუქციონის გამოცხადების მიზნით 4 საკომუნიკაციო ნაგებობაზე.

**მოსაწყობი (ახალი გზა) და სარეაბილიტაციო სატყეო-სამეურნეო გზების სამუშაოები:**

- ✓ განხორციელდა სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობა/რეაბილიტაცია. პროექტით გათვალისწინებული მოსაწყობი 10.449 კმ-დან მოეწყო 7.932 კმ., ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდა პროექტით გათვალისწინებული 65.719 კმ-დან 47.769 კმ. სატყეო-სამეურნეო გზას.

სატყეო-სამეურნეო გზების მონაცემები 2016 წელი						
N	სატყეო სამსახურები	მოწყობა კმ		რეაბილიტაცია კმ		შენიშვნა
		დაპროექტებული	ფაქტობრივი მდგომარეობა	დაპროექტებული	ფაქტობრივი მდგომარეობა	



1	2	3	4	5	6	7
1	მცხეთა-მთიანეთი	3.724	3.583	22.114	20.659	დასრულდა
2	შიდა ქართლი	2.64	2.21	1.29	1.290	დასრულდა
3	კახეთი			0.48	0.480	დასრულდა
4	სამცხე-ჯავახეთი			10.566	10.300	დასრულდა
5	რაჭა - ლეჩხუმ - ქვემო სვანეთი	2.357	1.462	7.093	1.700	დასრულდა
6	სამეგრელო-ზემო სვანეთი	1.63	0.677	6.765	2.024	დასრულდა
7	იმერეთი	0.098		0.373		არ შესრულდა
8	გურია			17.038	11.316	დასრულდა
9	<b>სულ</b>	<b>10.449</b>	<b>7.932</b>	<b>65.719</b>	<b>47.769</b>	<b>საბოლოო</b>

**შენიშვნა:**

**14/11/2016 მდგომარეობით**

**2015 წ. დაპრ/ფაქტ 44.466/30.927**

**172.154/92.164**

**2014 წ. დაპრ/ფაქტ 41.04/26.645**

**44.09/30.04**


**I ხარისხის ხე-ტყის (სამასალე) შესახებ ინფორმაცია:**

ინფორმაცია „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორების მიერ მოთხოვნილი რესურსის შესახებ:

1. სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახური - 7000 მ<sup>3</sup>.
2. კახეთის სატყეო სამსახური - 1890 მ<sup>3</sup>.
3. სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახური - 12667 მ<sup>3</sup>.
4. შიდა ქართლის სატყეო სამსახური - 3500 მ<sup>3</sup>.
5. იმერეთის სატყეო სამსახური - 918.5 მ<sup>3</sup>.
6. გურიის სატყეო სამსახური - 5022 მ<sup>3</sup>.
7. მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახური - 1200 მ<sup>3</sup>.
8. რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის სატყეო სამსახური - 21 100 მ<sup>3</sup>.
9. ქვემო ქართლის სატყეო სამსახური - 651 მ<sup>3</sup>.



სულ: 53 948.5 მ<sup>3</sup>




✓ ინფორმაცია სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოთხოვნის საფუძველზე მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის სატყეო სამსახურების მიერ გამოყოფილი I ხარისხის ხე-ტყის შესახებ :

1. კახეთის სატყეო სამსახური - 1890 მ<sup>3</sup>.
2. სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახური - 12667 მ<sup>3</sup>.
3. შიდა ქართლის სატყეო სამსახური - 2500 მ<sup>3</sup>.
4. იმერეთის სატყეო სამსახური - 918.5 მ<sup>3</sup>.
5. მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახური - 1200 მ<sup>3</sup>.
6. ქვემო ქართლის სატყეო სამსახური - 651 მ<sup>3</sup>.
7. რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახური - 18 100 მ<sup>3</sup>.
8. გურიის სატყეო სამსახური - 2124 მ<sup>3</sup>.
9. სამეგრელო-ზემო სვანეთი - 5000 მ<sup>3</sup>.



სულ: 45050.5 მ<sup>3</sup>



✓ ინფორმაცია სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოთხოვნის შესაბამისად სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანებების საფუძველზე მოსახლეობისათვის გამოყოფილი I ხარისხის ხე-ტყით უზრუნველყოფის შესახებ :


1. სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახური - 4952.2მ<sup>3</sup>.
2. კახეთის სატყეო სამსახური - 943 მ<sup>3</sup>.
3. სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახური - 11354 მ<sup>3</sup>.
4. შიდა ქართლის სატყეო სამსახური - 2178 მ<sup>3</sup>.
5. იმერეთის სატყეო სამსახური - 918.5მ<sup>3</sup>.
6. გურიის სატყეო სამსახური - 1055 მ<sup>3</sup>.
7. მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახური - 881 მ<sup>3</sup>.
8. ქვემო ქართლის სატყეო სამსახური - 646 მ<sup>3</sup>.
9. რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახური - 17667.5მ<sup>3</sup>.

სულ გამოიყო 40595.2 მ<sup>3</sup> – 5059 კომლის უზრუნველყოფის მიზნით.





სატყეო სამსახურების მიერ მოწოდებული ინფორმაცია გასაცემი I ხარისხის ხე-ტყის შესახებ ინფორმაცია პროცენტებში



- ✓ გადაუდებელი აუცილებლობით (ხანძრით, სტიქიური უბედურებით ან/და სხვა ფორსმაჟორული გარემოებით) გამოწვეულ შემთხვევებთან დაკავშირებით, გამოიცა სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება 1 429 მ<sup>3</sup> I ხარისხის ხე-ტყის გაცემის შესახებ - 61 კომლის უზრუნველყოფის მიზნით.
- ✓ წარმოებაში მიღებულ იქნა 8 საქმე საქართველოს საპატრიარქოს I ხარისხის ხე-ტყის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რაზედაც გამოიცა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება სულ 1038.34 მ<sup>3</sup> I ხარისხის ხე-ტყის გაცემის შესახებ.
- ✓ „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილების მე-10 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად გამოცემული სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანებები დაეგზავნათ შესაბამის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციებს.

**II ხარისხის ხე-ტყის (საშეშე) შესახებ ინფორმაცია:**

- ✓ საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის), თვითმმართველი ერთეულების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის  
 II ხარისხის ხე-ტყის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყო **51 082.89 მ<sup>3</sup>** II ხარისხის ხე-ტყე.

ტყის ფონდიდან ამორიცხულ ფართობებზე და სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული და დასაწყობებული მერქნული რესურსი:


დასაწყობებული მერქნული რესურსის შესახებ ინფორმაცია					
N	რეგიონი	თავისუფალი მერქნული რესურსი /მ3/	მინისტრის ბრძანებით გაცემული მერქნული რესურსის რაოდენობა / მ3/	მერქნულ რესურსი რომელზედაც მომზადებულია ბრძანების პროექტი გადასაცემად /მ3/	მერქნული რესურსი რომელზედაც მიმდინარეობს საგამოძიებო სამუშაოები /მ3/
1	კახეთი	33	108.36	0	
2	სამეგრელო-ზემო სვანეთი	330	829.019	231.56	
3	იმერეთი	78	467.8	104.54	
4	სამცხე-ჯავახეთი	410	723.769	84.278	443.8
5	მცხეთა-მთიანეთი	20	518.57	4	
6	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	377	1010.771	0	
7	შიდა ქართლი	82	81.89	0	
8	ქვემო ქართლი	132	719.17	0	
9	გურია	40	0	0	
<b>სულ:</b>		<b>1502</b>	<b>4459.349</b>	<b>424.378</b>	<b>443.8</b>

სატყეო სამსახურების მიერ ტყეკაფების გამოყოფის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია:



1. მცხეთა-მთიანეთი - 56723 მ<sup>3</sup>
2. კახეთი - 112372 მ<sup>3</sup>
3. სამცხე-ჯავახეთი - 87166 მ<sup>3</sup>
4. გურია - 14457 მ<sup>3</sup>
5. ქვემო ქართლი - 54552 მ<sup>3</sup>
6. შიდა ქართლი - 75247 მ<sup>3</sup>
7. იმერეთი - 55656 მ<sup>3</sup>
8. სამეგრელო-ზემო სვანეთი - 23657 მ<sup>3</sup>
9. რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი - 55820 მ<sup>3</sup>

სულ ჯამი: 81617.90 მ<sup>3</sup>



განცხორცილდა შემოსულ 26 საქმეზე (ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაწერა და სპეციალური ფირნიშით მარკირება), კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები.



## ხე-ტყის დამზადების სამსახური

- ✓ სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის (მრგვალი ხე-ტყე (მორი-შეშა) საკუთრებაში გაცემის მიზნით 2016 წელს (22.12.2016) მდგომარეობით შეადგინა **10084,119 კმ-ი**. ( წიწვოვანი 9167,474 კმ. ფოთლოვანი 914,645 კმ.) ( მორი 9771,169 კმ. შეშა 310,95 კმ)  
**რაჭაში:** 2016 წელს რეალიზებულია **4068,353** კმ თანხით **887432,07** ლარი, **სამეგრელო: 2264,47 კმ** თანხით **451264,8** ლარი.
- ✓ მოვლითი (სანიტარული) ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის (მრგვალი ხე-ტყე (მორი-შეშა) რაოდენობამ 2016 წელს (11.12.2016) მდგომარეობით შეადგინა **2488,498** კმ. ( წიწვოვანი 2476,224 კმ, ფოთლოვანი 12,274 კმ.) ( მორი 2191,498 კმ. შეშა 297 კმ)
- ✓ სამეგრელო : 2016 წლის მეოთხე კვარტალში სარეალიზაციოდ გატანილ იქნა 852,365 კმ. მთლიანი რეალიზებული მერქნული რესურსის რაოდენობამ შეადგინა 778,855 კმ თანხით 164827,20 . ( 33,41 კმ შეშა ღირებულებით 1443,9 ლარი).
- ✓ რაჭა : 2016 წლის მეოთხე კვარტალში სარეალიზაციოდ გატანილ იქნა 1535,032 კმ, აქედან რეალიზებული მერქნული რესურსის რაოდენობამ შეადგინა 1102,153 კმ თანხით 246151,8 ლარი.
- ✓ ბორჯომი: მოვლითი (სანიტარული) ჭრების შედეგად 2016 წლის მეოთხე კვარტალში რეალიზებული მერქნული რესურსის რაოდენობამ შეადგინა 446.658 კმ თანხით 65745.34 ლარი.
- ✓ იმერეთი: 2016 წლის მეოთხე კვარტალში სარეალიზაციოდ გატანილ იქნა 100,71 კმ.
- ✓ კახეთი: 2016 წლის მეოთხე კვარტალში სარეალიზაციოდ მიღებულია 114,41 კმ.
- ✓ ბორჯომ-ბაკურიანი: 2016 წლის მეოთხე კვარტალში სარეალიზაციოდ გატანილ იქნა 415,163 კმ.



## სახელმწიფო კონტროლის სფეროში განხორციელებული საქმიანობა

2016 წლის განმავლობაში რეგიონალური სატყეო სამსახურების თანამშრომელთა მიერ გამოვლენილ იქნა 3495 სამართალდარღვევის ფაქტი, მათ შორის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის - 3076 ფაქტი, სისხლის სამართლის - 419 ფაქტი. უკანონოდ მოპოვებული რესურსის მოცულობამ შეადგინა 22 388,9 მ<sup>3</sup>, გარემოზე მიყენებულმა ზიანის ოდენობამ შეადგინა 3 527 187,3 ლარი.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო											
გამოვლენილი სამართალდარღვევების ფაქტები 2016 წელი											
ტერიტორიული ორგანოები (სატყეო სამსახურები)	გამოვლენილი სამართალდარღვევის ფაქტების სულ	მათ შორის		უკანონოდ მოპოვებული რესურსის რაოდენობა			გარემოზე მიყენებული ზიანის ოდენობა	ზიანი, მათ შორის		ჩამორთმეული იარაღი ან სხვა საშუალება	ჩამორთმეული რესურსი
		ადმინისტრაციული სამართალდარღვევები	სისხლის სამართალდარღვევები	ხე ტყე (კუბ.მ)	სამასალე	საშემე		ადმინისტრაციულ საქმეებზე	სისხლის სამართლის საქმეებზე		
ქვემო ქართლი	283	186	97	1 688.3	0.0	1 688.3	194 772.0	31 135.3	163 636.7	26	163.4
კახეთი	824	787	37	6 637.8	413.4	6 224.4	869 537.9	60 231.3	809 306.6	0	431.83
მცხეთა-მთიანეთი	228	224	4	992.9	2.9	990.0	111 197.5	40 857.5	70 340.0	0	17.28
შიდა ქართლი	334	314	20	844.7	199.5	645.2	97 784.4	50 425.0	47 359.4	0	33.601
სამცხე-ჯავახეთი	363	200	163	6 916.8	3 624.4	3 292.4	769 020.7	20 827.1	748 193.5	28	125.93
იმერეთი	817	769	48	2 460.7	1 021.3	1 439.4	568 199.3	72 668.3	495 531.0	0	60.471
რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი	121	98	23	319.9	143.7	176.2	35 271.3	16 220.3	19 050.9	0	2.96
გურია	138	123	15	647.1	5.2	641.9	30 662.9	20 040.4	10 622.5	0	36.496
სამეგრელო - ზემო სვანეთი	387	375	12	1 880.6	380.1	1 500.5	850 741.5	38 413.8	812 327.8	0	17.2
<b>სულ</b>	<b>3495</b>	<b>3076</b>	<b>419</b>	<b>22 388.9</b>	<b>5 790.7</b>	<b>16 598.2</b>	<b>3 527 187.3</b>	<b>350 819.1</b>	<b>3 176 368.3</b>	<b>54</b>	<b>889.2</b>

საანგარიშო პერიოდში შიდა კონტროლის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ შერჩევითი წესით შემოწმებული იქნა იმერეთის, კახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურების დაქვემდებარებაში არსებული ტყის ფონდის ტერიტორია. შემოწმების შედეგად გამოვლინდა უკანონო ჭრის ფაქტები. აღრიცხული უკანონო ჭრის საერთო რაოდენობამ შეადგინა 4 968,47 მ<sup>3</sup>, ხოლო გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა - 776 672,01 ლარი. შემოწმების მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით გადაგზავნილ იქნა სამართალდამცავ ორგანოებში.

### ინფორმაცია შიდა კონტროლის დეპარტამენტის მიერ გამოვლენილ უკანონო ჭრაზე რეგიონების მიხედვით

N	რეგიონი	მოცულობა, მ <sup>3</sup>	ზიანი, ლარი
1	იმერეთის სატყეო სამსახური	1 496,927	295 373,93
2	კახეთის სატყეო სამსახური	2 930,46	400 966,86
3	სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახური	237,99	44 789,01



4	სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახური	253,06	29 813,27
5	ქვემო ქართლის სატყეო სამსახური	50,031	5 728,94
	<b>სულ</b>	<b>4 968,468</b>	<b>776 672,01</b>

ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებების შედეგად საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომზადებული იქნა 315 დასკვნა 251 პირის მიმართ, რაზედაც მოხდა შესაბამისი რეაგირება, დისციპლინური პასუხისგებლობის ზომა „შენიშვნა“ გამოეცხადა 215 თანამშრომელს, „გაფრთხილება“ – 36 თანამშრომელს, 86 თანამშრომელს დაუკავდა ხელფასი, 2 თანამშრომელს დაევალა დაზიანებული ავტომანქანის აღდგენა, 15 თანამშრომელი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

**2016 წლის განმავლობაში მომზადებული დასკვნები სატყეო სამსახურების მიხედვით**

სატყეო სამსახური	დასკვნა	პიროვნება	შენიშვნა	გაფრთხილება	ხელფასის დაკავება	დაზიანებული ავტომანქანის აღდგენა	გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან
გურია	20	10	17	2	2	0	0
იმერეთი	48	46	38	5	11	2	1
კახეთი	58	59	40	5	26	0	10
მცხეთა-მთიანეთი	24	21	14	2	7	0	2
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	35	26	21	4	13	0	0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	30	22	19	6	6	0	0
სამცხე	26	13	20	2	2	0	2
ქვემო ქართლი	25	19	15	3	7	0	0
შიდა ქართლი	49	35	31	7	12	0	0
<b>სულ</b>	<b>315</b>	<b>251</b>	<b>215</b>	<b>36</b>	<b>86</b>	<b>2</b>	<b>15</b>

ტერიტორიული სატყეო სამსახურების მიერ დახურული იქნა 173 ტყეკავი, ხოლო 2 წლის ვადის გასვლის გამო გაუქმებულ იქნა - 1543 ტყეკავი.

სატყეო სამსახური	სოციალური		კომერციული		სპეციალური		მოვლითი	
	დახურული	გაუქმებული	დახურული	გაუქმებული	დახურული	გაუქმებული	დახურული	გაუქმებული
გურია	21	78	5	0	0	0	0	0
იმერეთი	7	118	16	1	0	0	0	0
კახეთი	0	162	1	23	0	0	0	0
მცხეთა-მთიანეთი	0	379	2	9	0	3	0	0
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	34	61	2	1	5	1	0	0
სამეგრელო-ზემო	0	11	5	5	0	2	0	0





სვანეთი								
სამცხე-ჯავახეთი	0	190	6	13	0	0	3	1
ქვემო ქართლი	34	274	0	0	18	5	0	0
შიდა ქართლი	0	202	8	4	6	0	0	0
<b>სულ</b>	<b>96</b>	<b>1475</b>	<b>45</b>	<b>56</b>	<b>29</b>	<b>11</b>	<b>3</b>	<b>1</b>

**მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება და მართვა**

სააგენტოში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის ადმინისტრირება, სისტემის მომხმარებელთათვის პრაქტიკული და მეთოდური დახმარების გაწევა.

2016 წელს ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციასთან წვდომის შესაბამისი იერარქიული დონეების გათვალისწინებით დაშვება მიენიჭა 63 მომხმარებელს, მათ შორის:

- ეროვნული სატყეო სააგენტო - 23 მომხმარებელი;
- აჭარის სატყეო სააგენტო - 5 მომხმარებელი;
- დაცული ტერიტორიების სააგენტო - 10 მომხმარებელი;
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი - 20 მომხმარებელი;
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი - 3 მომხმარებელი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახური - 2 მომხმარებელი.

თვითმმართველი ორგანოების მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად მაცხოვრებელი კომლის წარმომადგენელთა სიების საფუძველზე ელექტრონულ სისტემაში აისახა 35 652 პიროვნების მონაცემი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი).

**2016 წელს მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირებული მეორე ხარისხის ხე-ტყით მოსარგებლეთა რაოდენობა**

N	უწყება	რაოდენობა
1	ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობა	349
2	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	245
3	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია	14
4	ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობა	322
5	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობა	22
6	ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობა	213
7	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია	268
8	ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა	590
9	ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობა	5 774
10	ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობა	346
11	გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობა	604
12	გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა	14 164



13	გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა	135
14	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა	6
15	დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა	153
16	დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა	232
17	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა	1
18	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა	44
19	თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა	400
20	თელავის მუნიციპალიტეტის მერია	272
21	თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა	4
22	თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა	77
23	კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა	623
24	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა	38
25	ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა	103
26	მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა	606
27	მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა	155
28	მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა	157
29	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია	8
30	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობა	2 381
31	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა	1
32	ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა	142
33	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა	80
34	სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა	7
35	საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობა	248
36	სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა	129
37	ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობა	9
38	ქალაქ თბილისის მერია	7
39	ქალაქ ფოთის მერია	1
40	ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობა	1 188
41	ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობა	3
42	ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა	4
43	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობა	7
44	ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა	108
45	შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობა	337
46	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	3
47	ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობა	771
48	წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობა	592
49	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა	17
50	ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	461
51	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა	627
52	ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	243
53	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	2 113
54	ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა	2
55	ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობა	163
56	ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობა	83
	<b>ჯამი</b>	<b>35 652</b>



### საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის სრულყოფა

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის საიმედო და ეფექტური მუშაობის მიზნით დაწყებულ იქნა და ეტაპობრივად მიმდინარეობს სააგენტოში არსებული პერსონალური კომპიუტერების შესწავლა, პროგრამული შემოწმება და განახლების უზრუნველყოფა.

- შეიზღუდა მომხმარებლის მიერ პროგრამების თვითნებურად ჩაწერის შესაძლებლობა;
- შეიზღუდა ვირუსებისა და საჯაშუშო პროგრამების ფარულ რეჟიმში ავტომატურად ჩაწერის შესაძლებლობა;
- მომხმარებლის პაროლით შესაძლებელი გახდა საერთო სისტემაში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერით სარგებლობა ინფორმაციასთან წვდომის გარეშე;
- რეგიონალურ სატყეო სამსახურებში განხორციელდა დაზიანებული ტექნიკის შეკეთება და პროგრამული ხარვეზების გასწორება.

## პროგრამებზე, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე მუშაობა

სატყეო პოლიტიკის სამსახურისა და GIZ ის ორგანიზებით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში 2016 წლის 25 იანვარს გაიმართა სამუშაო შეხვედრა „სასოფლო-სამეურნეო ხანძრების ეკოსისტემის შეფასება საქართველოში“.

პროექტის - „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა, სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში GIZ-ის მიერ მოწვეული დანიელი და გერმანელი ექსპერტები, აგრარული წვის კონტროლის საბაზისო სქემებისა და აგრარული ნარჩენების წვის შედეგების დადგენის საკითხებთან დაკავშირებით დანახარჯისა და მოგების ანალიზზე დაყრდნობით (CBA), უზრუნველყოფენ ეკონომიკური შეფასების კვლევის ჩატარებას მიწისა და ხანძრის მართვის სათანადო ალტერნატიული სცენარების განსაზღვრისა და წვის კონტროლის შესაძლებლობის შესახებ,

შეხვედრას ესწრებოდნენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2016 წლის 25 იანვარს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ბატონი გიგლა აგულაშვილი შეხვდა მსოფლიო ბანკის, ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მენეჯერ ქალბატონ კულსუმ აჰმედს.

შეხვედრაზე განიხილეს როგორც მიმდინარე პროექტები, ასევე სამომავლო გეგმები.

ძირითად თემას წარმოადგენდა კლიმატის ცვლილების სექტორში დიდი პროექტების ინიცირება და მათი ხელშეწყობა.

შეხვედრაზე მხარეებმა დასახეს სატყეო სექტორის რეფორმის 2016-2021 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების ღონისძიებები.

შეხვედრას ესწრებოდნენ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე თემურ მურღულია, სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსი კარლო ამირგულაშვილი, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე მერაბ მაჭავარიანი და მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი კავკასიაში - დარეჯან კაჰანაძე.

2016 წლის 26-30 იანვარს, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) ინიციატივით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADC) მხარდაჭერით, ქობულეთში გაიმართა სატყეო სექტორში ჩართულ დაინტერესებულ მხარეთა სამუშაო შეხვედრა. შეხვედრაზე იმსჯელეს ეროვნული სატყეო სააგენტოს რეფორმის შემუშავების საკითხზე. შეხვედრას ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა, სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსი კარლო ამირგულაშვილი და სამთავრობო და არასამთავრობო უწყებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

2016 წლის 10 თებერვალს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ბესარიონ აბაშიძე გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენლებს შეხვდა. FAO ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტექნიკური დახმარების პროექტს, რომლის ფარგლებშიც სამეგრელოს ტერიტორიაზე ფერმერთა რეგისტრაციის პროცესი იწყება. პროექტში ეროვნული სატყეო სააგენტოს ჩართვა, მიზნად ისახავს ფოტოებზე ტყის მასივების გარჩევასა და აღნუსხვას, რაც სამომავლოდ გარემოსდაცვითი ღონისძიებების ეფექტიან გატარებას უზრუნველყოფს.



შეხვედრას ეროვნული სატყეო სააგენტოს ხელმძღვანელი თორნიკე გვაზავა და სააგენტოს სპეციალისტები ესწრებოდნენ.

2016 წლის 29 თებერვლიდან 04 მარტის ჩათვლით, დეგრადირებული ლანდშაფტების აღდგენასთან დაკავშირებით, ENPI FLEG II-ის პროგრამის ფარგლებში ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის ორგანიზებით ქ. კიშინოვში (მოლადვეთი) გაიმართა სამუშაო შეხვედრა, აღნიშნულ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ტყის მოვლა აღდგენის დეპარტამენტის უფროსმა ნათია იორდანიშვილმა.

2016 წლის 05 აპრილს, სამუშაო შეხვედრა გაიმართა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემასთან დაკავშირებით. კაჭრეთის ამბასადორში GIZ-ისა და UNDP-ის ორგანიზებით. აღნიშნულ შეხვედრას ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის უფროსი ნათია იორდანიშვილი ესწრებდა.

2016 წლის 06-07 აპრილს, ბიომასის მოპოვებისა და გადამუშავების პროექტის ფარგლებში გაიმართა სამუშაო ვიზიტი ახმეტაში სამუშაოების დაგეგმვის მიზნით GIZ-ის ექსპერტებსა და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენლებს შორის.

2016 წლის 7 აპრილს, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოში დანიის კონსულ ესბერ ემბორგთან და დანიელ ინვესტორებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე განიხილეს ძირნაყარი ხეების მდგომარეობა ტყეებში და მათი შემდგომი გადამუშავების ეტაპები. დაიგეგმა მომავალში ენერგეტიკული პლანტაციების შექმნა და მათი მართვის საკითხები. შეხვედრას ესწრებოდნენ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა და სააგენტოს ხელმძღვანელი პირები.

2016 წლის 13-14 აპრილს, ქ. ბრნოში ჩეხეთში გაიმართა შეხვედრა ზვის მავნებელ-დაავადებებთან დაკავშირებით EUSR, Cabis და მენდელის უნივერსიტეტის ორგანიზებით. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტები და სპეციალისტები. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (ენტემოლოგი) გიორგი მამადაშვილი.

2016 წლის 20 აპრილიდან 6 ივნისამდე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით, GIZ- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა და NFA-ეროვნული სატყეო სააგენტოს მხარდაჭერით საქართველოს 9 რეგიონში 400-მდე ტყის მცველი გადამზადდა. 4-დღიანი სასწავლო კურსი - "ტყის დაგეგმვისა და მართვის ძირითადი პრინციპები" მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე სავსე პრაქტიკულ სამუშაოებს. სწავლების დასრულების შემდეგ მონაწილეებს ჩაუტარდათ ტესტირება და გადაეცათ ტყის მცველთა გადამზადების კურსის წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

სწავლებას უძღვებოდნენ ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლები, რომლებსაც აქვთ სწავლების გამოცდილება.

2016 წლის 10 მაისს, მორიგი შეხვედრა გაიმართა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოში დანიის კონსულ ესბერ ემბორგთან და დანიელ ინვესტორებთან. შეხვედრაზე იმსჯელეს ძირნაყარი ხე-ტყის გამოტანის ვადებზე, აგრეთვე განიხილეს პოტენციური ადგილები სწრაფმზარდი ენერგეტიკული პლანტაციების შესაქმნელად. შეხვედრას ესწრებოდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე მერაბ მაჭავარიანი და სააგენტოს სხვა ხელმძღვანელი პირები.





2016 წლის 01-03 ივნისს, ქ. სანკტ პეტერბურგში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიზნად ისახავს აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის სატყეო სფეროში კომუნიკაციის მექანიზმების გაუმჯობესების შემუშავებას, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ (FAO). აღნიშნულ კონფერენციას სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე მერაბ მაჭავარიანი ესწრებოდა.

2016 წლის 09-12 ივნისს, გერმანიაში (როდინგი, ბავარია) გაიმართა საერთაშორისო გამოფენა სატყეო სფეროში KfW ორგანიზებით. აღნიშნულ გამოფენას სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ხელმძღვანელობა დაესწრო.

2016 წლის 09 ივნისს, გარემო ევროპისთვის მინისტრთა მერვე კონფერენციის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა თემაზე: „11 წელი პეტერბურგის დეკლარაციიდან და ENPI FLEG ის პროგრამის 8 წელი - შემდეგი ნაბიჯები“ შეხვედრას კონფერენციის მონაწილე ქვეყნების დელეგატებთან და FLEG-ის პროგრამის განმახორციელებლებთან (WB, WWF, IUCN) ერთად ესწრებოდნენ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ბესარიონ აბაშიძე, სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსი კარლო ამირგულაშვილი, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა. შეხვედრაზე იმსჯელეს პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტებზე, შეჯამდა უკვე განხორციელებული აქტივობები და დაისახა შემდგომი ნაბიჯები. FLEG II პროგრამა სატყეო სექტორში კანონდარსრულებისა და მმართველობის გაუმჯობესებას ემსახურება და საქართველოსა და პროგრამის მონაწილე სხვა ქვეყნებში რამოდენიმე წელია წარმატებით ხორციელდება.

2016 წლის 10 ივნისს, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში გაიმართა “სივრცული მონაცემების ინფრასტრუქტურა – Web GIS” კურსის პირველი სწავლება, ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მხარდაჭერით, რომელშიც სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად გარემოსა და ბუნებრივი რესურსები დაცვის სამინისტროს სატყეო პოლიტიკის სამსახურისა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. სასწავლო კურსის მიზანია მსმენელები გაერკვნენ გეო ინფორმაციულ სისტემებში და დაეუფლონ სივრცული მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნის საფუძვლებს. გეოგრაფიული ინფორმაცია და მასთან ასოცირებული ინფრასტრუქტურა, ინფორმაციის სწრაფად მოძიების, ხელმისაწვდომობისა და ეფექტურად გამოყენების საშუალებას იძლევა, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2016 წლის 21-22 ივნისს, GIZ-ის ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა კახეთში ზურმუხტოვან ქსელთან და ჰაბიტატებთან დაკავშირებით. აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის სპეციალისტმა იაკობ კაპანაძემ.

2016 წლის 24 ივნისს, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს ტყის მდგრადი მართვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო კურსის მწვრთნელები სტუმრობდნენ. მწვრთნელებს პროექტის წარმატებით დასრულება GIZ-ის პროექტის “ადამიანური შესაძლებლობების განვითარება” უფროსმა მრჩეველმა ერიმ მისმა, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორმა ია პაპიაშვილმა და ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნათია იორდანიშვილმა მიულოცეს და სამახსოვრო სერტიფიკატები გადასცეს.



პროექტი გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით, GIZ-გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა და ეროვნული სატყეო სააგენტოს მხარდაჭერით განხორციელდა.

2016 წლის 04-07 ივლისს, გაიმართა 3 დღიანი სამუშაო შეხვედრა ბაკურიანში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ-ის ორგანიზებითა და მხარდაჭერით, რომელსაც სატყეო პოლიტიკის სამსახურის და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსა ხელმძღვანელი პირები, თანამშრომლები, ტყის ინვენტარიზაციის მიმართულებით ქართველი და უცხოელი ექსპერტები ესწრებოდნენ;

2016 წლის 01-02 აგვისტოს იყალთოში, სატყეო პოლიტიკის სამსახურის ინიცირებითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) - ის მხარდაჭერით, გაიმართა სატყეო სექტორის რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხილვა.

2016 წლის 15 აგვისტოს, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსა და არასამთავრობო ორგანიზაცია IUSN-ის ინიციატივით თიანეთის მუნიციპალიტეტში გაიმართა შეხვედრა: თიანეთის ტერიტორიაზე არსებული დეგრადირებული ტყეების შესწავლისა და მათი აღდგენისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით. შეხვედრაზე განიხილეს ტყის ლანდშაფტების აღდგენის ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილი პროექტი, რომელიც გახორციელდება სატყეო სექტორში კანონიერების დაცვისა და მიმართველობის გაუმჯობესების პროგრამით (ENPI FLEG II);

2016 წლის 06-07 სექტემბერს, გაიმართა ექსპერტების შეხვედრა საკითხზე „ტყის ინვაზიური სახეობები ევროპასა და ცენტრალური აზიის რეგიონებში“ ბელორუსიაში, ქალაქ მინსკში. შეხვედრა ორგანიზებული იყო FAO, REU, SEC და ევროპის რეგიონალური ოფისის მიერ. აღნიშნულ შეხვედრაზე მიწვეული იყო ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ენტემოლოგი გიორგი მამადაშვილი;

2016 წლის 08 სექტემბერს, გაიმართა შეხვედრა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)- ის მოწვევით ჩამოსულ საერთაშორისო ექსპერტთან, რომელიც კონსულტაციებს გაუწევს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს, ხობში, „ქარიატას“-ს ყოფილი ზონალური სანერგის აღდგენასთან დაკავშირებით. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ხელმძღვანელი პირები საერთაშორისო ექსპერტთან ერთად იმყოფებოდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, სადაც მოინახულეს საპროექტო ტერიტორიის ადგილი და გაეცნენ ძირითად საპროექტო მონაცემებს;

2016 წლის 13-16 სექტემბერს, გაიმართა შეხვედრა „საქართველოს უნიკალური ტყის ეკოსისტემების კონსერვაცია დაცული ტერიტორიების შექმნის გზით“ პროექტის ფარგლებში. აღნიშნულ პროექტს ახორციელებს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის წარმომადგენლობა გერმანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის მიზანია ორი დაცული ტერიტორიის/ეროვნული პარკის შექმნა რაჭასა და სამცხე ჯავახეთის რეგიონებში და აგრეთვე მათ მიმდებარე ბუფერულ ზონაში დეგრადირებული ტყეების იდენტიფიცირება და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება. პროექტის სავლელე კვლევებში აქტიურად არიან ჩართულები სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის თანამშრომლები;





2016 წლის 18-23 სექტემბერს, გაიმართა მედია ტური სომხეთში პროგრამა FLEG-II)- ის ფარგლებში. აღნიშნულ ღონისძიებას დაესწრო ადმინისტრაციული დეპარტამენტის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სპეციალისტი ანი ანდრონიკაშვილი;

2016 წლის 22 სექტემბერს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსა და „Bavarian state forest“-ს შორის სატყეო სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის გაფორმებას სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა, „Bavarian state forest“-ის დირექტორი რეინჰარდ ნეფტი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი კარლო ამირგულაშვილი და სააგენტოს ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ;

2016 წლის 27 ივლისს, ახმეტაში, სოფელ მატანში ბიომასის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ხელმძღვანელი პირები. საპილოტე პროექტი ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით დაიგეგმა, პროექტის ტექნიკურ მხარეს „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები“ ახორციელებს. პროცესში ჩართულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN);

2016 წლის 29 სექტემბერს ქ. ბორჯომში, გაიმართა შეხვედრა ლიტვის კერძო ტყეების ასოციაციის წარმომადგენლებთან. აღნიშნულ შეხვედრას ტყის აღრიცხვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ეკატერინე ბალარჯიშვილი დაესწრო;

2016 წლის 08 სექტემბერს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი კარლო ამირგულაშვილი, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა და სააგენტოს უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილი მსოფლიო ბანკისა და „UDA consulting“-ის წარმომადგენლებს შეხვდნენ. FLEG II-ის პროგრამის ფარგლებში მსოფლიო ბანკის მიერ დაქირავებულ კომპანია „UDA consulting“-ს დაევალა მნიშვნელოვანი კვლევის განხორციელება, რომელიც დაეყრდნობა საქართველოს მასშტაბით 95 სოფელში ჩატარებულ გამოკითხვას, რის შედეგადაც გაირკვევა მოსახლეობის ტყეზე დამოკიდებულება, თუ რა რისკებია ბუნებრივი კატასტროფების კუთხით და როგორია სიღარიბის დონე ამ თემებში.

2016 წლის 06 ოქტომბერს, ეროვნული სატყეო სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახურის უფროსი დავით ალადაშვილი საქართველოში აკრედიტირებული ევროკავშირის მისიის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე მისიის წარმომადგენლებს დეტალურად გააცნეს რეგიონში მოსახლეობისათვის ზამთრის სეზონისათვის გამოყოფილი სოციალური ჭრის ტყეკაფების მდგომარეობა და მომხმარებლისთვის შეთავაზებული მომსახურების პირობები. ასევე ისაუბრეს ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის შემთხვევების საკითხებზე.

2016 წლის 06 ოქტომბერს, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა და სააგენტოს უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილი ლიტვის რესპუბლიკის ელჩს საქართველოში, გეიდრიუს



პუოჯუნასის შეხვდნენ. შეხვედრაზე დაიგეგმა ერთობლივი პროექტების განხორციელება სატყეო სფეროში და დაისახა მომავალი სამუშაო შეხვედრები.

2016 წლის 10 ოქტომბერს მეტყევის პროფესიული დღე ბულაჩაურის „მწვანე ცენტრში“ აღინიშნა. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ, ბესარიონ აბაშიძემ სატყეო სექტორის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ტყის მცველებს სიგელები გადასცა.

მეტყევის პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით, სკოლის მოსწავლეებისთვის საინფორმაციო ტური მოეწყო, სადაც პრაქტიკოსმა მეტყევეებმა თავიანთი საქმიანობის მნიშვნელობასა და სპეციფიკაზე ისაუბრეს.

ღონისძიება CENN - ის ორგანიზებით გაიმართა პროექტის „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში“ ფარგლებში, ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისთვის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით.

2016 წლის 08 დეკემბერს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ პროექტის - „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში“ ფარგლებში, სატყეო სტრატეგიის ძირითადი პოლიტიკური საკითხების შესახებ იმსჯელეს. ეროვნული სემინარის მონაწილეებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ სოლომონ პავლიაშვილმა მიმართა. შეხვედრაზე სატყეო სექტორში ბოლო დროს განხორციელებული ინიციატივები, დარგში მიმდინარე პროცესები და ეროვნული სატყეო სააგენტოს ინსტიტუციური გაძლიერების საჭიროებები განიხილეს. ასევე, წარმოადგინეს უახლესი კვლევები და ექსპერტული ხედვები, რომლებიც სატყეო დარგის ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით საკვანძო ასპექტებზე გადაწყვეტილებების მისაღებად მომზადდა.

შეხვედრა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) – ის ორგანიზებითა და ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისთვის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა. ეროვნული სემინარის შემდეგ, დარგში არსებულ გამოწვევებზე და მათი გადაჭრის გზებზე, პროექტის სამეთვალყურეო საბჭო იმსჯელეს, რომელიც სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული.

2016 წლის 20 დეკემბერს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში GIZ პროექტთან „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში - IBiS“ თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა ეროვნული დონის ტყის ინვენტარიზაციის, ტყის მართვის ინვენტარიზაციის და ტყის საინფორმაციო მართვის სისტემის ახალი სტანდარტების შემუშავების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს მომავალში ბიომრავალფეროვნებისა და ტყის პოლიტიკის დეპარტამენტს პოლიტიკური და სტრატეგიული ხასიათის ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას, ასევე დაეხმარება ეროვნულ სატყეო სააგენტოს ტყის შესახებ ობიექტური მონაცემების მოპოვებაში.

GIZ/IBiS მიერ დაქირავებული გერმანული ფირმების UNIQUE და Forest Eye კონსორციუმის ექსპერტების მიერ შემუშავებული იქნა ინვენტარიზაციის მოდელები, რომელთა საველე პირობებში, სხვადასხვა ტყის ტიპის კორომებში გამოცდა მოხდა მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

გერმანელმა ექსპერტებმა შემუშავებული მოდელების პრეზენტაცია წარმოადგინეს, რომელსაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს თანამშრომლები დაესწრნენ.



## საზოგადოებასთან ურთიერთობა და განათლება

13 იანვარს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ბესარიონ აბაშიძე და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსს ნინო სულხანიშვილს შეხვდნენ;

21 იანვარს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში ჭალის ტყეების პრობლემებსა და მართვასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა;

22 იანვარს კოლხური ბზის გადარჩენის სამოქმედო გეგმის განხილვა გაიმართა;

22 იანვარი - საქართველოს ტყის ახალი რუკა შეიქმნა;

25 იანვარს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში სატყეო პოლიტიკის სამსახურისა და GIZ ორგანიზებით - „სასოფლო-სამეურნეო ხანძრების ეკოსისტემის შეფასება საქართველოში“ - სამუშაო შეხვედრაში ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს;

25 იანვარს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი და ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა მსოფლიო ბანკის, ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მენეჯერ ქალბატონ კულსუმ აჰმედს შეხვდნენ;

27-29 იანვარს ქ. ქობულეთში სატყეო სექტორში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სამუშაო შეხვედრა გაიმართა;

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი და ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა სატყეო სექტორის უნგრელ სპეციალისტებს შეხვდნენ;

10 თებერვალს საქართველოს პარლამენტში „ტყის კოდექსის“ ახალი კანონპროექტის განხილვა - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებისა და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის - გაერთიანებულ სხდომაზე გაიმართა;

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ბესარიონ აბაშიძემ, სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსმა კარლო ამირგულაშვილმა და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ 12 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით „ტყის კოდექსის“ ახალი კანონპროექტის სამუშაო ვერსიის წარდგენის და განხილვის მიზნით საქართველოს ყველა რეგიონის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების, თვითმმართველობის ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და მოსახლეობასთან შეხვედრები გამართეს;

16 თებერვალს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ კახეთის სატყეო სამსახურში სამუშაო შეხვედრა გამართა;

26 თებერვალს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა და მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი კახა ჟორჟოლიანი ადგილობრივ მეწარმეებს შეხვდნენ და მათი პრობლემები მოისმინეს, ასევე იმსჯელეს მათი მოგვარების გზებზე;



2 მარტს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა სამუშაო ვიზიტით შიდა ქართლის სატყეო სამსახურს ესტუმრა, სადაც განიხილეს შეშის მომარაგების საკითხები და მომდევნო პერიოდში სავალე სამუშაოების განრიგზე ისაუბრეს;

2 მარტს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ბესარიონ აბაშიძე და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, გარემოს დაცვის სამმართველოს უფროსს ვახტანგ წულაძეს შეხვდნენ;

3 მარტს დედის დღესთან დაკავშირებით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომელმა მაია ნაცვლიშვილმა, თბილისის ზღვაზე 500 მეტრიანი მონაკვეთი ნახევარ საათში გაცურა;

8 მარტს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ, თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილესთან იოსებ ქარცივაძესთან და ამავე სამსახურის განყოფილების უფროსთან ბესარიონ მამალაძესთან ერთად 21 მარტს ჩასატარებელი ტყის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები დაგეგმა;

9 მარტს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ბესარიონ აბაშიძე, სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსი კარლო ამირგულაშვილი და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენლები გაეროს გარემოსდაცვით პროგრამის (UNEP) და მსოფლიო რესურსების ინსტიტუტის (WRL) წარმომადგენლებს შეხვდნენ, სადაც მსოფლიო გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ დაფინანსებული პროექტი - Global Forest Watch 2.0 განიხილეს;

9 მარტს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი, სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსი კარლო ამირგულაშვილი და ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებს შეხვდნენ, სადაც მუნიციპალიტეტისთვის ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მართვაში გადაცემის საკითხი განიხილეს;

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერითა და ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან თანამშრომლობით ტყის მცველთა შესაძლებლობების გაძლიერებისათვის სწავლების დაგეგმვის მიზნით სამუშაო შეხვედრა გაიმართა;

14 მარტს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა რეგიონალური სატყეო სამსახურების ხელმძღვანელ პირებს შეხვდა. შეხვედრაზე 2016 წლის პირველი კვარტლის შედეგები განიხილეს და დასახეს სამომავლო გეგმები;

17 მარტს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა, მესტიის მაჟორიტარ დეპუტატ ვიქტორ ჯაფარიძესთან ერთად ეროვნულ სატყეო სააგენტოში სვანეთიდან ჩამოსულ მეწარმეებს შეხვდა და მათი მოთხოვნები მოისმინა;

18 მარტს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში „ტყის კოდექსის“ კანონპროექტის პირველი საჯარო განხილვა გაიმართა;





18 მარტს მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა გოჩა ზეიკიძემ, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ და ქალაქ მცხეთის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა, ფონდ "გამწვანე საქართველო"-სთან ერთად გამწვანების აქციაში მიიღეს მონაწილეობა;

18 მარტს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ბესარიონ აბაშიძე და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა შიდა ქართლის რეგიონში ტყეკაფებამდე მისასვლელი გზების ახალი ტექნიკის გამოყენებით აღდგენა-რეაბილიტაციას დაესწრნენ;

21 მარტს ტყის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინიციატივით, მცხეთაში გამწვანების აქცია გაიმართა. აქციაში თავდაცვის სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა;

22 მარტს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში სასკოლო კონკურსის „ფოტო სინთეზი 2016“ გამარჯვებულები დააჯილდოვა. კონკურსის თემა იყო - „საქართველოს ფაუნა - ფოტოგრაფია vs. ნადირობა“;

24 მარტს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ საგარეჯოში სოფელ უდაბნოში ქარსაფარი ზოლის აღდგენით სამუშაოებში მიიღეს მონაწილეობა.

25 მარტს სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების დასაქმების ფორუმში მიიღო მონაწილეობა.

26 მარტს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში იმყოფებოდა. გიგლა აგულაშვილი და ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა მხარის გუბერნატორთან და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან ერთად, ადიგენის მოსახლეობას შეხვდა და მათი პრობლემები მოისმინა.

28 მარტს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა საქართველოს რეგიონებში შეხვედრებს განაგრძობს და ქვემო ქართლის მხარის გუბერნატორთან და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან ერთად, მოსახლეობას შეხვდა და მათი პრობლემები მოისმინა.

30 მარტს ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბობოთში გამწვანების აქცია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა და ტყიბულის მაჟორიტარმა დეპუტატმა ელისო ჩაფიძემ მიიღო.

სააგენტოს თანამშრომელთა მიერ აქტიურად ხდებოდა ხე-ტყის უკანონო მოპოვების ფაქტების გამოვლენა და ამ ფაქტების სოციალურ ქსელში და მედია საშუალებებით გაშუქება.

1 აპრილს ტელეკომპანია „იმედი“-ს ეთერში გავიდა სიუჟეტი „ბრძოლა მავნებლებთან კოლხური ბზის გადასარჩენად“;

2 აპრილს ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლები აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღის აქციას შეურთდნენ;



3 აპრილს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა მხარის გუბერნატორთან გივი ჭიჭინაძესთან და თვითმმართველობების წარმომადგენლებთან ერთად ქუთაისში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ და მათი პრობლემები მოისმინეს. საუბრის მთავარი თემა ხე-ტყის და წიაღის მოპოვებასთან დაკავშირებული რეგულაციები, ტყეკაფებამდე მისასვლელი გზების მოწყობა-რეაბილიტაცია და სოციალურ ჭრებთან დაკავშირებული პროცედურების უფრო მეტად გამარტივება იყო;

დამზადდა ვიდეო რგოლი „ბზის დაავადებებთან ბრძოლა“;

სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ და მისმა რეგიონალურმა სამსახურებმა სხვადასხვა მოხალისე ორგანიზაციებთან ერთად მიმდინარე წლის აპრილი-ივნისის განმავლობაში საქართველოს მასშტაბით 13 გამწვანების აქცია ჩაატარა რა დროსაც 37000 სხვადასხვა ჯიშის ნერგი დაირგო;

11 აპრილს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ ბესარიონ აბაშიძემ, პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის აპარატის უფროსმა ნანა თალაკვაძემ, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ და ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის უფროსმა ნათია იორდანიშვილმა კახეთის სატყეო სამსახურის ხელმძღვანელობასთან ერთად ახლადგამენებული სწრაფმზარდი სახეობების პლანტაციები მოინახულეს;

11 აპრილს ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის გადაცემა „სხვა შუადღე“-ში ტყის მოვლა აღდგენის დეპარტამენტის უფროსმა ნათია იორდანიშვილმა და სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსმა კარლო ამირგულაშვილმა „ნუ მოჭრი ბზას!“ საკითხზე ისაუბრეს;

11 აპრილს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე მერაბ მაჭავარიანი კახეთის სატყეო სამსახურის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე რეგიონში არსებული პრობლემები, მოსახლეობის მერქნით მომარაგებისა და სატყეო სამეურნეო გზების მოწყობის პროცესი განიხილეს. ისაუბრეს რეგიონის მასშტაბით მიმდინარე წლისათვის დაგეგმილ ღონისძიებებზე;

11 აპრილს ტელეკომპანია "იმედი" საინფორმაციო გადაცემა "ქრონიკაში" გავიდა ვრცელი სიუჟეტი ბზის ხმობასთან და ბზის მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით;

13 აპრილს ტელეკომპანია „იმედი“-ს ეთერში ტყის მოვლა აღდგენის დეპარტამენტის უფროსმა ნათია იორდანიშვილმა და სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსმა კარლო ამირგულაშვილმა „ნუ მოჭრი ბზას!“ აქციის ფარგლებში კოლხური ბზის გადარჩენის საკითხებზე ისაუბრეს;

13 აპრილს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსა და კომპანია “PINUS GEORGIA”-ს შორის საქართველოში მერქნული ბიომასის წარმოების ხელშეწყობის მიზნით მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის ფარგლებში კახეთსა და ქვემო ქართლის რეგიონებში სწრაფმზარდი ენერგეტიკული პლანტაციების გაშენება იგეგმება;

18 აპრილი - დამზადდა ვიდეო რგოლი თემაზე „ეროვნული სატყეო სააგენტო მოგიწოდებთ ერთად გადავარჩინოთ კოლხური ბზა!“

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, გურიისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურებმა მოსახლეობასთან ინტენსიური შეხვედრები გამართა. მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია კოლხური ბზის კულტურულ-ეკოლოგიურ მნიშვნელობაზე, ამ





სახეობის უკანონოდ მოპოვების შემთხვევაში არსებულ სანქციებზე და გადაეცა ბზის დაავადების და მავნებლების შესახებ საინფორმაციო ბროშურები;

19 აპრილს საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „რეალური სივრცე“-ში ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის უფროსმა ნათია იორდანიშვილმა ისაუბრა იმ საფრთხეებზე, რომელიც უნიკალურ კოლხურ ბზას ემუქრება;

25 აპრილს ეროვნული სატყეო სააგენტოს იმერეთის სატყეო სამსახურის ინიციატივით ტყიბულისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში ბზის დარგვის მორიგი აქცია გაიმართა 23ა ფართობზე 2500-მდე ნერგი დაირგო.

26 აპრილს ტელეკომპანია „ერთსულოვნება“-ს გადაცემა „შუადღე“-ში ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მრჩეველმა გოჩა არონიშიძემ და ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის უფროსმა ნათია იორდანიშვილმა კოლხური ბზის გადარჩენის გზებზე ისაუბრეს;

26 აპრილს ტელეკომპანია „ერთსულოვნება“-ს გადაცემა „განთიადის სტუმარ“-ში ეროვნული სატყეო სააგენტოს იმერეთის სატყეო სამსახურის უფროსმა მურად ცინცაძემ იმერეთში ჩატარებული გამწვანების აქციების შესახებ ისაუბრა;

28 აპრილს ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე მერაბ მაჭავარიანმა, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)-ის გარემოსდაცვითი პროექტების კოორდინატორმა რეზო გეთიაშვილმა და შიდა ქართლის სატყეო სამსახურის უფროსმა გიორგი ნიკოლეიშვილმა სოფელ ცედანში შქერით დაფარული ტყის ფართობი მოინახულეს. დაიგეგმა მარადმწვანე ქვეტყის მოცილება მისი ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის მიზნით. მცენარე შქერი კი გადამუშავების შედეგად ადგილობრივი მოსახლეობისათვის საწვავის ალტერნატიულ საშუალებად იქნება გამოყენებული;

28 აპრილს ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყითსარგებლობისა და ტყის აღრიცხვის დეპარტამენტების თანამშრომლებმა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახურის პერსონალს შერჩეული საკვლევი ფართობების შესწავლის და სოციალური და სპეციალური ტყეკაფების გამოყოფის საკითხებზე პრაქტიკული სასწავლო კურსი ჩაუტარა;

5 მაისს მდინარის კალაპოტში არსებული მერქნული რესურსის მოპოვება გამარტივებასთან დაკავშირებით პარლამენტში წარდგენილი ინიციატივის შესახებ სპეციალური ბრიფინგი ჩატარდა;

10 მაისს საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი წაბლის ხეების დაავადებების შესახებ;

10 მაისს ტელეკომპანია „ერთსულოვნება“-ს საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი სოფელ რუხში კოლხური ბზის სანერგის მოწყობის პროექტის შესახებ;

15 მაისს ეროვნული სატყეო სააგენტოს ინიციატივით ბორჯომის რაიონის სოფელ დაბაში გადამწვარი ხეობის მოვლა-აღდგენის სამუშაოები გრძელდება. ღონისძიებას შემოუერთდა არასამთავრობო ორგანიზაციები “World Vision” და “დემოკრატ მესხთა კავშირი” ახალგაზრდული გაერთიანება, რომლებმაც 4000 წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობის ნერგი დარგეს. ასევე, დაბის ტერიტორიაზე ეროვნულ სატყეო სააგენტოს სასკოლო სანერგის პროექტის ფარგლებში, წაღვერის საჯარო სკოლის



მოსწავლეებმა შემოდგომაზე დაწყებული თესვის სამუშაოები განაგრძეს და ამჯერად ფიჭვის, ნაძვის და სოჭის თესლი დათესეს;

17 მაისს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და “საქართველოს მწვანეთა მოძრაობა /დედამიწის მეგობრები- საქართველოს” შორის გარემოს დაცვის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა;

24 მაისს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის მხარდაჭერით ქ. ყვარელში საქართველოს ახალი „ტყის კოდექსის“ კანონპროექტის შიდაუწყებრივი განხილვა გამართა;

24 მაისი - სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო აგრძელებს სწრაფმზარდი სახეობების პლანტაციების გაშენების სამუშაოებს. ამჯერად, შიდა ქართლის სატყეო სამსახურის მიერ კასპის სატყეო უბნის ტერიტორიაზე პლანტაციის გაშენება 3000-მდე ვერხვის სახეობის კალმით განხორციელდა;

25 მაისს ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა რეგიონალური სამსახურების ხელმძღვანელ პირებს შეხვდა. შეხვედრაზე იმსჯელეს ხე-ტყის დამზადების, სოციალური ჭრების, პლანტაციებსა და სანერგეებში მიმდინარე სამუშაოებზე;

29 მაისს ტელეკომპანია „ერთსულოვნება“-ს საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი სწრაფმზარდი სახეობების პლანტაციები შესახებ;

1 ივნისს პირველი რადიოს ეთერში - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნათია იორდანიშვილმა, - განათლების პროექტების სამსახურის უფროსმა ნატო სულთანაშვილმა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსმა კარლო ამირგულაშვილმა ისაუბრეს თემებზე თუ როგორი მეტყევე ჭირდება საქართველოს, რას ითვალისწინებს ახალი სატყეო კოდექსი;

17 ივნისს ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა გურიის გუბერნატორს გია სალუქვაძეს შეხვდა. შეხვედრაზე ისაუბრეს გურიის რეგიონში არსებულ მერქნულ რესურსებზე და მის განაწილებაზე ადგილობრივ მოსახლეობისთვის, ასევე არსებულ ტყეკაფებზე და ტყეკაფებამდე მისასვლელი გზების მოწყობა-რეაბილიტაციაზე.

20 ივნისს ტელეკომპანია „ტვ ბორჯომი“-ს ეთერით გავიდა სიუჟეტი ბორჯომში პლატოს ტყეში მბეჭდავი ქერქიჭამიას მონიტორინგი მიმდინარეობის შესახებ;

20 ივნისს ტელეკომპანიის „ერთსულოვნება“-ს ეთერში გავიდა სიუჟეტი, რომ გრძელდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს საგანმანათლებლო პროექტი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, რომელიც ტყესთან დაკავშირებული საბაზისო ცოდნის მიწოდებასა და მათი ტყის მოვლა-აღდგენის სამუშაოებში ჩართვისკენაა მიმართული.

23 ივნისს ტელეკომპანია „იმედი“-ს საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი იმის შესახებ, რომ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო უკვე 3 წელია ახორციელებს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის წიწვოვან კორომებში მბეჭდავი ქერქიჭმიების მონიტორინგს, შესაბამისი ხაფანგისა და ფერომონის გამოყენებით. იგივე თემაზე სიუჟეტი 24 ივნისს ტელეკომპანია „ერთსულოვნება“-ს ეთერში გაშუქდა;



27 ივნისს კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსში სეზონური სატყეო სკოლა გაიხსნა. პროექტი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტის ბაზაზე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური უზრუნველყოფით ხორციელდება. სატყეო სკოლა დარგის პოპულარიზაციის მიზნით ტარდება და ითვალისწინებს თანამშრომლების წახალისებას რეგიონალურ დონეზე. სასწავლო კურსი ორ მთავარ თემას-ტყეების ეკოსისტემებსა და მათ ბიომრავალფეროვნებას მოიცავს. სასწავლო კურსს გაუძღვებიან როგორც ადგილობრივი, ასევე ევროპელი წამყვანი პროფესორები და მეცნიერები. პროექტში 21 მსმენელი მონაწილეობს როგორც საქართველოდან, ისე სხვა ქვეყნებიდან. სატყეო სკოლის გახსნას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსი კარლო ამირგულაშვილი, სსიპ ეროვნული სატყეო სამსახურის უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილი და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ. სატყეო სკოლა 3 ივლისს დაიხურება.

27 ივნისს ტელეკომპანია „ერთსულოვნება“-ს ეთერით გავიდა სიუჟეტი სეზონური სატყეო სკოლის შესახებ;

მეორე კვარტლის განმავლობაში კოლხური ბზის გადარჩენის ეროვნული მრავალწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიება - ბზის ალურით (*Cydalima perspectalis*) დაზიანებული კოლხური ბზის კორომების შეწამლვითი ღონისძიების პირველი ეტაპი დასრულდა. სამუშაოები იმერეთის, გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდის 400 ჰა-ზე განხორციელდა.

2016 წლის 20 აპრილიდან 6 ივნისამდე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით, GIZ- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა და NFA-ეროვნული სატყეო სააგენტოს მხარდაჭერით საქართველოს 9 რეგიონში 400-მდე ტყის მცველი გადამზადდა. 4-დღიანი ტრენინგკურსი - "ტყის დაგეგმვისა და მართვის ძირითადი პრინციპები" მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე საველე პრაქტიკულ სამუშაოებს. სწავლების დასრულების შემდეგ ტრენინგის მონაწილეებს ჩაუტარდათ ტესტირება და გადაეცათ ტყის მცველთა გადამზადების კურსის წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები. ტრენინგს უძღვებოდნენ ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლები, რომლებსაც აქვთ ტრენინგის ჩატარების გამოცდილება.

ივლისის დასაწყისში ეროვნული სატყეო სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში მეგზევე სპეციალისტების მიერ განხორციელდა სოციალურ ტყეკაფებში მისასვლელი გზების (სარეაბილიტაციო და ახალი გზების) ადგილზე შესწავლა და პროექტების შედგენა წალენჯიხის, მარტვილის, ხაიშის, მესტიის და ჩხოროწყუს სატყეო უბნებში;

1 ივლისს ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ და სააგენტოს უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილმა რეგიონალური სამსახურების უფროს მეტყევეებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს, მიმდინარე წლის ზამთრის სეზონისთვის მოსახლეობის სათბობ შემაჯავ მოთხოვნების დაკმაყოფილების ღონისძიებების ეფექტურად წარმართვის თაობაზე;

4 ივლისს ტვ 9-ის ეთერში გავიდა სიუჟეტი ახალციხისა და ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნების ტერიტორიაზე ტყის ინვენტარიზაციის საველე სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოებს ეროვნული სატყეო სააგენტოს ორგანიზებით, ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია ახორციელებს.



5 ივლისს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ-ის ორგანიზებითა და მხარდაჭერით ბაკურიანში 3 დღიანი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსა და სატყეო პოლიტიკის სამსახურის ხელმძღვანელი პირები, თანამშრომლები, ქართველი და უცხოელი ექსპერტები (ტყის ინვენტარიზაციის მიმართულებით) დაესწრნენ. შეხვედრა ტექნიკური ხასიათის იყო და ტყის ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული ახალი მეთოდის როგორც კამერალურ, ასევე, საველე პირობებში გამოცდას ითვალისწინებდა;

25 ივლისს ეროვნული სატყეო სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის უფროსმა მურად ცინცაძემ, სააგენტოს მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, ბორჯომის პლატოს ტერიტორიაზე მიმდინარე სანიტარულ ჭრებთან და შემდგომ ამ ფართობებზე მოვლა-აღდგენით სამუშაოებთან დაკავშირებით რეგიონის სამსახურის თანამშრომლებთან შეხვედრა გამართა;

ივლისის ბოლოს ეროვნული სატყეო სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით კახეთის რეგიონში, ორ დღიანი სასწავლო კურსი გაიარეს. სასწავლო კურსი შემდეგ საკითხებს მოიცავდა: სახელმწიფოს საქმიანობის გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, საჯარო ინფორმაციის გაცემა, ადმინისტრაციული წარმოება, შრომის კოდექსიდან გამომდინარე საკითხები, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მიმოხილვა;

ტყის მდგრად მართვაზე პროექტის წარდგინება 29 ივლისს ქუთაისში გაიმართა. ინიციატივის მიზანია სატყეო რეფორმის წარმატებული განხორციელების ხელშეწყობა ტყის მართვის პრაქტიკის მოდერნიზების, ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაძლიერებისა და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული დიალოგის გზით. ამ პროექტის ფარგლებში შექმნილი მე-9 საკოორდინაციო ჯგუფი პროცესებს რეგიონის დონეზე გაუწევს კოორდინაციას.

ახმეტაში, სოფელ მატანში ბიომასის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. საპილოტე პროექტი ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით დაიგეგმა, პროექტის ტექნიკურ მხარეს „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები“ ახორციელებს. პროცესში ჩართულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN). ახმეტის მუნიციპალიტეტში თანამედროვე ტიპის ბრიკეტების საამქროს შექმნა ხელს შეუწყობს ნარჩენი ბიომასის გადამამუშავებით ალტერნატიული საწვავი რესურსის დანერგვას, ბუნებრივ ტყეზე ზეწოლის შემცირებას და უზრუნველყოფს ქვეყანაში ბიომასის საწვავის წარმოებისა და გამოყენებისათვის მწარმოებლებისა და მომხმარებლების სტიმულირებას;

10 აგვისტოს კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა, ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტოსთან ერთად, ზუგდიდსა და რუხში ბზის საბაზისო სანერგის გადამზადების კურსის მოწყობის შესახებ შეხვედრა გამართეს;

11 აგვისტოს ტელეკომპანია „რიონი“-ს ეთერში გავიდა სიუჟეტი კოლხური ბზის შეწამვლის მეორე ეტაპის შესახებ;

15 აგვისტოს „ერთსულოვნების“ ეთერში გაშუქდა ბზის კორომების ინვაზიური მავნებელი სახეობის პეპლის ბზის ალურასაგან დაცვის ღონისძიებები;





15 აგვისტოს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს და არასამთავრობო ორგანიზაცია IUSN-ის ინიციატივით თიანეთის მუნიციპალიტეტში ჩატარდა შეხვედრა, თიანეთის ტერიტორიაზე არსებული დეგრადირებული ტერიტორიების შესწავლისა და მათი აღდგენისათვის აუცილებელი ღონისძიებების შემუშავების პროექტის დაგეგმვის მიზნით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მცხეთა-თიანეთის სატყეო სამსახურის უფროსმა მეტყევემ კახაბერ მწითურმა, თიანეთის სატყეო უბნის უფროსმა ალექსანდრე კობაიძემ და თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ლელა ქიტესაშვილმა. შეხვედრაზე განიხილეს ტყის ლანდშაფტების აღდგენის ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილი პროექტი, რომელიც გახორციელდება სატყეო სექტორში კანონიერების დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესების პროგრამით (ENPI FLEG II);

19 აგვისტოს ტელეკომპანია „ერთსულოვნება“-ს ეთერში გავიდა სიუჟეტი შიდა ქართლის სატყეო სამსახურის მიერ სატყეო-სამეურნეო გზების გაყვანა-რეაბილიტაცია დაასრულების შესახებ;

8 სექტემბერს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი კარლო ამირგულაშვილი, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა და სააგენტოს უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილი მსოფლიო ბანკისა და „UDA consulting“-ის წარმომადგენლებს შეხვდნენ. FLEG II-ის პროგრამის ფარგლებში მსოფლიო ბანკის მიერ დაქირავებულ კომპანია „UDA consulting“-ს დაევალა მნიშვნელოვანი კვლევის განხორციელება, რომელიც დაეყრდნობა საქართველოს მასშტაბით 95 სოფელში ჩატარებულ გამოკითხვას, რის შედეგადაც გაირკვევა მოსახლეობის ტყეზე დამოკიდებულება, თუ რა რისკებია ბუნებრივი კატასტროფების კუთხით და როგორია სიღარიბის დონე ამ თემებში. ეს კვლევა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და ეროვნული სატყეო სააგენტოს დაეხმარება ბუნებრივი კატასტროფების რისკების უკეთ შეფასებასა და ტყითსარგებლობის სწორედ დაგეგმვაში. კვლევა მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში დასრულდება და საბოლოო ანგარიშის წარდგენას მსოფლიო ბანკი 2017 წლის თებერვალში გეგმავს. FLEG II პროგრამა სატყეო სექტორში კანონდარსულებისა და მმართველობის გაუმჯობესებას ემსახურება და საქართველოსა და პროგრამის მონაწილე სხვა ქვეყნებში რამდენიმე წელია წარმატებით ხორციელდება;

13 სექტემბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოში „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებულ წესში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა;

15 სექტემბერს ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა, სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის ხელმძღვანელობასთან ერთად სვანეთის მცირე მეწარმეებს ზუგდიდში შეხვდა. შეხვედრაზე სვანეთში ხე-ტყის დამზადების, ტყეკაფებისა და ტყეკაფებამდე მისასვლელი გზების მოწყობა-რეაბილიტაციის საკითხები განიხილეს;

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსა და „Bavarian state forest“-ს შორის სატყეო სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის გაფორმებას სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა, „Bavarian state forest“-ის დირექტორი რეინჰარდ ნეფტი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა

და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი კარლო ამირგულაშვილი და სააგენტოს ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ;

28 სექტემბერს ტელეკომპანია „ერთსულოვნება“-მგერმანელი კოლეგის რეინჰარდ ნეფტის ბორჯომის პლატოზე სანიტარული ჭრების დაათვალიერება გააშუქა;

2016 წლის მესამე კვარტალში სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტომ ბზის კორომების მეორე შეწამლვითი ღონისძიება გურისასა, სამეგრელო-ზემო სვანეთში და იმერეთში განახორციელა. აღსანიშნია, რომ შეწამვლითი ღონისძიება განხორციელდა არა მხოლოდ ბზის ალურას გავრცელების კერებში, არამედ იმ სარისკო ფართობებზეც, სადაც დიდი ალბათობაა მისი გავრცელების. შესხურებასთან ერთად მოხდა ყურადღების გამახვილება ბზის კორომების ახალ-დაუზიანებელ ფართობებზე. ეროვნული სატყეო სააგენტო მუდმივ კავშირზეა რეგიონალურ სატყეო სამსახურებთან და ბზის ალურას ახალ ფართობებზე გამოჩენის შემთხვევაში მზადაა შესაბამისი რეაგირებისათვის.

ასევე, ამ პერიოდში ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სამსახურების ხელმძღვანელები, რეგიონში ზამთრის სეზონისათვის გამოყოფილი ტყეკაფების ადგილმდებარეობისა და არსებული რესურსის რაოდენობის გაცნობის მიზნით, ყოველდღიურ რეჟიმში რეგიონის ქალაქების და სოფლების მოსახლეობას და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ხვდებოდნენ. მოსახლეობის მერქნული რესურსით უზრუნველყოფა სააგენტოს ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს, და, ამ ამოცანის შესრულების მიზნით გამართულ შეხვედრებზე, რეგიონალური სამსახურები მოსახლეობას აწვდიდნენ ინფორმაციას არსებული ტყეკაფებისა და ტყეკაფებამდე მისასვლელი გზების მდგომარეობის შესახებ;

2016 წლის მესამე კვარტლის განმავლობაში რეგიონების მასშტაბით ტყეკაფების გამოყოფა, ტყეკაფებამდე მისასვლელი გზების მოწყობა-რეაბილიტაცია და ამ პროცესებთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სამსახურების მიერ ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდებოდა და საერთო ჯამში განახლებული და გაყვანილი იქნა:

რეგიონი	რეაბილიტაცია	ახალი გზა
სამცხე-ჯავახეთი	8 852 მ	
გურია	11 360 მ	
შიდა ქართლი	4 090 მ	2 640 მ
მცხეთა-მთიანეთი	11 934 მ	1 353
კახეთი	480 მ	

2 ოქტომბერს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა ეროვნული სატყეო სააგენტოს ხელმძღვანელთან თორნიკე გვაზავასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახურის თიანეთის სატყეო უბნის რეაბილიტირებული შენობა დაათვალიერა. ადმინისტრაციული შენობა, რომელიც



ყველა საჭირო ინვენტარიტა და ტექნიკიტაა აღჭურვილი თიანეთის სატყეო უბნის 21 თანამშრომელზეა გათვლილი, რაც ხელს შეუწყობს რაიონის მოსახლეობის უფრო ეფექტურ მომსახურებას.

6 ოქტომბერს ეროვნულმა სატყეო სააგენტომ ბორჯომ-ბაკურიანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციულ შენობაში საპასუხო ვიზიტით მყოფ ლიტვის კერძო ტყეების მფლობელთა ასოციაციის წარმომადგენლებს უმასპინძლა. მხარეებმა საქართველოს სატყეო სექტორის კონცეფციის მთავარ მიზნებზე, გამოწვევებსა და მუშაობის მეთოდების სპეციფიკაზე ისაუბრეს;

7 ოქტომბერი დაზიანებული ბზის კორომების შეწამვლა. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი იმერეთის რეგიონში იმყოფებოდა, სადაც ეროვნული სატყეო სააგენტოს ენტომოლოგებმა გელათის მიმდებარე ტერიტორიაზე დაზიანებული ბზის კორომების შეწამვლითი სამუშაოები განახორციელეს.

20 ოქტომბერს ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ რეგიონალური სამსახურების თანამშრომლებთან შეხვედრა გამართა. სამსახურის უფროსებმა და უფროსმა მეტყევეებმა ზამთრის სეზონისთვის მოსახლეობის სათბობ შემაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების ღონისძიებების ეფექტურად წარმართვის თაობაზე კვარტალური ანგარიში წარადგინეს;

3 ნოემბერს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გავაზში მცხოვრებ უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ და ლოგინად ჩავარდნილ 90 წლის ნაზი სეფიაშვილსა და მის ვაჟს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენლებმა 5 კუბური მეტრი სათბობი შემა გადასცეს.

9 ნოემბერს ეროვნულმა სატყეო სააგენტომ დაასრულა სამცხე-ჯავახეთის წიწვოვან კორომებში, მბეჭდავი ქერქიჭამიას წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყენებული ფერომონიანი მწერსაჭერების მონიტორინგი. კორომებში განთავსებული იყო 2425 ცალი ხაფანგი, საიდანაც დაჭერილი და განადგურებულ იქნა 3 მილიონამდე მავნებელი;

10 ნოემბერს ეროვნული სატყეო სააგენტოს იმერეთის რეგიონის სატყეო სამსახურის თანამშრომლები მობილიზებულები იყვნენ ჭიათურის რაიონის სოფელ სკინდორში ტყის ფონდში დაახლოებით 3 ჰა ფართობზე გავრცელებული ხანძრის ლიკვიდაციისათვის;

14 ნოემბერს ეროვნულმა სატყეო სააგენტომ ბორჯომის რაიონის პლატოს ტერიტორიაზე დაიწყო ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის პროექტი. პროექტის პირველი მონაწილე კომპანია „სარაჯიშვილია“, რომელმაც 11 ნოემბერს ბორჯომის პლატოს ტერიტორიაზე 168 ახალი ხე – ნეკერჩხალი და ფიჭვი დარგო;

6 დეკემბერს ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ ქალაქ რუსთავში ფერომენადნობთა მწარმოებელ კომპანია „რუსელოისი“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე გამწვანების აქციაში მიიღო მონაწილეობა. აქციის ფარგლებში ფოთლოვანი და წიწვოვანი სახეობის 100-ზე მეტი ნერგი დაირგო;





2016 წლის ოქტომბრიდან პოზნანის ბუნებრივი მეცნიერებების უნივერსიტეტის სატყეო მეურნეობის ფაკულტეტმა საქართველოდან ოთხი დოქტორანტი მოიწვია: იაკობ კაპანაძე, ნიკო კარსიმაშვილი, ლაშა მიროტაძე და ოთარ ფოლადაშვილი.



## ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება

2016 წლის განმავლობაში სააგენტოს კანცელარიიდან გასულია 16 217, შემოსულია 16 044 კორესპონდენცია, სააგენტოს თანამშრომელთა მიერ მომზადებულია 12 915 მოხსენებითი, 7 051 - სამსახურებრივი ბარათი. სააგენტოს კანცელარიაში შემოსულია მოქალაქეთა 9 724, თანამშრომელთა 487 განცხადება; მომზადდა 2091 ბრძანება თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლების შესახებ, 386 ბრძანება - თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ, 736 ბრძანება - თანამშრომელთა შვებულებისა და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შესახებ, 681 ბრძანება - მივლინების შესახებ;

დაკმაყოფილდა 42 მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაზე;

2016 წლის განმავლობაში 7 ეტაპად გამოცხადდა და შეჯამდა კონკურსი სხვადასხვა პოზიციებზე.